საერთო გაზეთი

№25 (575) • 26 აგვისტო, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

კოალიციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!

ოპოზიციონერებო, თუ მართლა გონებაშეზღუდულები არ ხართ, იმდენს როგორ ვერ ხვდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის თქვენი მტერი, თქვენი მთავარი მტერი მიხეილ სააკაშვილია

კოალიციური მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, ეს არის „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება

ლერი ალიმონაკი:

არ არსებობს მწერლობა და პოლიტიკა ერთმანეთის გარეშე

ქართველი საზოგადოება ნაცების რევანშს არ დაუშვებს!

ჩარეცხილი ავტორიტეტები და ჩატეხილი ხიდი

გოგონა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მეორედ კლავენ

ბაჩალიაშვილებო, რატომ მიუგდეთ საჯიჯგნად თქვენი 23 წლის გოგონას ტანჯული სული არამზადა გვარამიას და გათახსირებულ კილაძეს?

მე ბელორუსში არაერთი საოცრება ვნახე

და მაინც, რას წარმოდგენს ეს სახელმწიფო, რატომ ამბობს ბელორუსთა ერთი ნაწილი უარს აწყობილ, ანუ მშვიდ ცხოვრებაზე?

„წერილების ფესტივალი“ - 2020

ამერიკის პოლიტიკური დინასტიები

აშშ-ს 200 ოჯახი მართავს, ანუ დიდება ნეპოტიზმს!

ადამიანის უფლებათა ცვლილებებმა ადამიანი გადააგვარა

ბებერი ლომების დიდი შერკინება

კოალიციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!

კოალიციური მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, ეს არის „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება

ვახტანგ ხარჩილავა:

— 31 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ უნდა დავამარცხოთ და კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათ! — აი, ეს „წმინდათაწმინდა“ მიზანი აქვთ დასახული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს.

ბიძინა ივანიშვილის დამარცხება, შემდეგ კი კოალიციური მთავრობა — აი, ეს არის ზუსტად, დროის მოკლე მონაკვეთში, საქართველოს გარდაუვალი დამარცხების წინაპირობა.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების ავადმყოფური სურვილის, სიხარბის, ამპარტავნული ბუნების, ზედმეტი პატივმოყვარეობის გამო ვერ გრძნობთ და ვერ ხვდებით, რომ ზუსტად ის დაგანგრევთ და გაგანადგურებთ, რაც დღეს ხსნად და გადარჩენად მიგაჩნიათ.

გამოგიტყდებით, თქვენი ბედი ნაკლებად მაღელვებს, თუმცა თქვენმა უგუნურებამ, არა მატო თქვენ, არამედ თქვენთან ერთად ქართველ ხალხსაც შეიძლება უმძიმესი განსაცდელი დაატეხოს თავს.

რა კოალიციური მთავრობა, რისი კოალიციური მთავრობა? როგორ შეიძლება კოალიციურ მთავრობაზე საუბარი იყოს იმ ქვეყანაში, სადაც, ფაქტობრივად, არ არსებობს პოლიტიკური პარტიები თავისი მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიით, მსოფლმხედველობით, კონცეფციით.

მართალია, ოფიციალურად, 200-მდე დასახელების პარტიაა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს სხვადასხვა პარტიები კი არა, სხვადასხვა სახელებია, რომლებსაც არასოდეს არანაირი წვლილი არ შეუტანიათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ წვრილ-წვრილ ფსევდოპარტიებსაც რომ თავი დავანებოთ, რა იდეოლოგიური განსხვავებაა, ვთქვათ და, „ნაცმოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“, „ახალ საქართველოს“, „გირჩს“ შორის?

მოგეხსენებათ, ყველა ეს პარტია ერთი პარტიის „ნაცმოძრაობის“ განაყოფია, მისი განშტოებებია და თავის დროზე ყველა, ვინც ახლა განზე გამდგარა და სხვა სახელი დაურქმევია, დიდი თავდადებით და ერთგულებით აშენებდა „ნაცმოძრაობის“ მახინჯ, სასტიკ, ანტიჰუმანურ და ანტიადამიანურ სისტემას.

ოპოზიცია თუთიყუშივით ბრმად და გაუცნობიერებლად იმეორებს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოგდებულ მოწოდებას: ყველანი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ! ერთად დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი! ოპოზიციონერებო, თუ მართლა გონებაშეზღუდულები არ ხართ, იმდენს როგორ ვერ ხვდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის თქვენი მტერი, თქვენი მთავარი მტერი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ნება-ნება გაუპატიურებდათ, მერე, რვა წლის განმავლობაში, ტუალეტის ქაღალდის ფუნქციას გასრულებინებდათ, ახლა კი საზარბაზნე ხორცად გიყენებთ და თქვენს გვამებზე გადავლით ისევ ხელისუფლებაში აპირებს მობრუნებას

ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი დიდი ხანია შეთანხმებულია, რომ „ნაცმოძრაობა“ ეს არის კრიმინალურ-ფაშისტური, დანაშაულებრივი სახის ორგანიზაცია. გამომდინარე აქიდან, უკლებლივ ყველა, ვინც ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას ქმნიდა, დანაშაულის მონაწილეა, დამნაშავეა და ამ ორგანიზაციიდან გამოსვლა და სხვა „კლიჩკის“ დარქმევა პასუხისმგებლობისგან ვერ გაგათავისუფლებს, როგორც ეს სახელგადაკეთებულ ნაცებს ჰგონიათ.

დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს ამ არჩევნებში და კოალიციური მთავრობის შექმნის არავითარი აუცილებლობა არ იარსებებს, მაგრამ ერთი წამით დავუშვათ, რომ ეს ასე არ მოხდა და საჭირო გახდა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება.

ვინ შეიძლება მოხვდეს ამ კოალიციაში?

დიდი ალბათობით, „ნაცმოძრაობა“ და მისი განაყოფი პარტიები, ანუ იგივე „ნაცმოძრაობა“, ოღონდ სხვადასხვა კლასტერებად დაყოფილი ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც კოალიცია კი ერქმევა, მაგრამ, სინამდვილეში, ერთი საერთო პატრონი და ინსტრუქტორი ეყოლება.

კოალიციური მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, ეს არის „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება.

აი, ამასაა რეკლამას და აგიტაციას რომ უწევენ „ნაცების“ ტელევიზიები და პიარსამსახურები, აგრეთვე, ამ ნაცისტურ „კოალიციას“ ტკიპასავით მიტმასნილი სხვადასხვა წვრილ-წვრილი პარტიუკები, რომლებიც ნებაყოფლობით პირდაპირ ხახაში უვარდებიან ხარბ და დაუნდობელ მონსტრს, რომელიც პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ლიფსიტებივით გადაყლაპავს ამ პოლიტიკურ ღორჯოებს.

— ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებთ „ქართულ ოცნებასთან“ და პირობას ვდებთ, რომ მასთან კოალიციას არ შევქმნით — ირწმუნებიან „კოალიციონისტები“ და იმას ვერ ხვდებიან, როგორ ამჟღავნებენ თავიანთ შაბნელ ზრახვებს, თავიანთ დესტრუქციულ ზნესა და ხასიათს, თავიანთ რევანშისტულ, შურისმაძიებლურ ბუნებას.

კოალიციური მმართველობა მასში შემავალი პარტიებისგან დიდ პოლიტიკურ კულტურას, კომპრომისის უნარს, პარტნიორული ურთიერთობების გამოცდილებას და მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობას მოითხოვს.

რომელს აქვს კოალიციაში შესვლის პრეტენდენტთაგან ეს თვისებები?

ამ პარტიებიდან რომელს შეუძლია უკანა პლანზე გადასწიოს საკუთარი ინტერესები და ამბიციები?

ესენი რომ კოალიციურ რეჟიმში, შეთანხმებულად და შეხმატკბილებულად, ერთად შეუდგებიან ბედნიერი ქვეყნის აღმშენებლობას, ეს ისეთივე ტყუილია, როგორც თავის დროზე კომუნიზმის მშენებლობის იდეა იყო.

კოალიციური მთავრობის იდეა ფარსია, სატყუარაა, ხოლო ამ იდეის ავტორებმა შესანიშნავად იციან, რით დამთავრდება ეს დემაგოგია.

„ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ცდილობს საქართველოს და დემოკრატიული მსოფლიოს ჭკუაში მოტყუებას, როცა ირწმუნება, რომ თანახმაა ნებისმიერის გვერდით დაჯდეს და ნებისმიერთან ითანამშრომლოს, ვისაც ხალხი აირჩევს.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ, ᲐᲛ Ე.Წ. ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲫᲕᲐᲜᲝᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ ᲘᲛ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲤᲔᲠᲗᲮᲐᲕᲔᲜ.

ასე რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, კოალიციური მთავრობის შექმნის იდეა ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა, თუმცა ეს მცდელობა შეიძლება კატასტროფული შედეგებით დამთავრდეს თვით „ნაცმოძრაობისთვის“ და ისიც ისე „შეჭამონ“ სხვა

→

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲨᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“
ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ Ქ. 18;
ᲢᲔᲚ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
ᲠᲔᲒᲘᲡᲢ. №202375349; ᲣᲐᲙ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲡ „ᲐᲡᲐᲒᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲑᲚᲐᲫᲘᲡ 39

® ᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

არ არსებობს მწერლობა და პოლიტიკა ერთმანეთის გარეშე

გვესაუბრება მწერალი და მთარგმნელი ლერი ალიმონაკი

— მოგესალმებით და მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა იმ ადამიანს გავცნობოდი, რომლის ნაწარმოებებს და თარგმანებს ვკითხულობდი ყმაწვილობისას.

ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება ერთ-ერთი თქვენი შესანიშნავი თარგმანი ლაო ძის „დაო დე ძინი“. მახსენდება — ლაო ძი ამბობს: „ადამიანი, როცა საქმეს განასრულებს, განზე უნდა გადგეს“. რას ნიშნავს ეს, როდის უნდა გადგეს ადამიანი განზე?

— მე ვფიქრობ, ადამიანმა საქმე უნდა გააკეთოს და ამპარტავნებას არ უნდა მიეცეს. თუმცა ამ სენტენციის გაგება ბევრნაირად შეიძლება. ამიტომაც არის „დაო დე ძინი“ კაცობრიული ქმნილება. თვითონ თარგმანებშიც სხვადასხვაგვარი ინსტერპრეტაციები არის მოცემული და ეს არც არის გასაკვირი, ბოლოს და ბოლოს ფილოსოფიაა, ლიტერატურაა, მათემატიკა ხომ არ არის?!

სამწუხაროდ, დღევანდელ მწერლობაში ნაკლებად, თუმცა იქმნება ნაწარმოებები, რომლებსაც წაკითხვა უნდა. სწორად გამიგეთ: წაკითხვა და არა გადაკითხვა, როგორც გალაკტიონი ამბობდა: არსებობს წამკითხველი და არსებობს გადამკითხველიო.

ჩემი პერიოდის და ჩემზე უფროსი თაობის პროზაიკოსებს წაკითხვა უნდა.

არსებობს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც შეიძლება საუკეთესო იყოს, მაგრამ კონკრეტულ პერიოდში არ, ან ვერ დაფასდეს. მას დრო აფასებს შემდეგ.

ისევ ლაო ძის მოვიშველიებ: „ო, რა გვიანია სიტყვა ბრძნული და დაუნჯებული“.

ბრძნული და დაუნჯებული სიტყვა გვიან შემოდის, გვიან ცხადდება ადამიანის ცნობიერებაში, ღირებულებებში და საერთოდ, საზოგადოებაში.

მაგალითად, მე-20 ს.-ის ქართული კლასიკა, პროზა და პოეზია კვლავ მიბრუნებას, ჩაღრმავებას იმსახურებს, მაგრამ ამის გამკეთებელი დღეს, ასეთი ფაციფუცის ეპოქაში, ძალიან ძნელია, აღარავის აღარ სცალია ამისთვის.

ჩვენი დიდი კლასიკოსი ილია ჭავჭავაძეც არ იყო პოლიტიკოსი, ის პოეტი იყო და მწერალი, მაგრამ, თავის ქვეყანას რომ დასჭირდა, მეხილეობაზეც წერდა, მეაბრეშუმეობაზეც, ვაჭრობაზეც და ათას რამეზე.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი კოლეგებისგან ხშირად მსმენია: პოლიტიკაში არ ვერევიო.

გვარებს არ დავასახელებ. არიან ისეთი მიმართულების ადამიანები, მწერლები და პოეტები, რომლებსაც ჰგონიათ, სადღაც პარნასზე ვართო და იქედან უყურებენ დედამიწას და კაცობრიობას.

მაგრამ, თქვენი ნებართვით, თქვენ შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს ჩემი ბოლოდროინდელი რომანის „ელიაზარის დაბრუნებიდან“ გაგცემთ. ელიაზარი არის მხატვარი, თუმცა მისი პიროვნება არის რეინკარნაცია მითიური ამირანის. ელიაზარი ჩამოდის თბილისში სოფლიდან, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოს და ის შემთხვევით აღმოჩნდება ხელოსანთა ამბოხში. ელიაზარს თავისი შინაგანი მე ეუბნება, რომ აქ არ არის მისი ადგილი და სურს, რომ გაერიდოს იქაურობას, მაგრამ ახსენდება თავისი მოძღვრის მიერ ნათქვამი პავლე მოციქულის სიტყვები: შენც იტირე, როცა სხვა ტირისო და ჩაებმება ელიაზარი ბრძოლაში.

ამით იმის თქმა მინდა, რომ პოლიტიკა ჩვენს მიღმა არ არსებობს და არც ჩვენ ვარსებობთ პოლიტიკის მიღმა.

არც ერთი დიდი ლიტერატურა პოლიტიკის გარეშე არ შექმნილა. საიდანაც გინდათ დავიწყოთ. გნებავთ ჰომეროსიდან, ანტიკური ლიტერატურიდან, ან შუა საუკუნეების ლიტერატურიდან, სადაც არც ერთი ნაწარმოები პოლიტიკისგან განცალკევებულად არ შექმნილა, არ არსებულა და არც აღიქმება.

როგორ შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ, მაგალითად, ფლობერის პროზა, ჰიუგოს, სტენდალის შემოქმედება არ იყო იმ დროის პოლიტიკის გამოძახილი და იმ პერიოდის ყოფიერების სარკე?! თომას მანი თავის ერთ წერილში თუ ინტერვიუში ამბობს: ვერ წარმომიდგენია მწერალი პოლიტიკის გარეშეო.

მისი „დოქტორი ფაუსტუსიც“ კი, იმის მიუხედავად, რომ მწერალი იქ სულიერ და ეგზისტენციალურ სიღრმეებს ეხება, პოლიტიკის ფონზეა გააზრებული.

გოეთეს „ფაუსტიც“, თავის ძირებსა და ფესვებში, აუცილებლად განსაზღვრავს პოლიტიკურ ფონს.

ასე იყო შილერის „ყაჩაღები“, და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

დიდი, გრანდიოზული რუსული ლიტერატურა და გოგოლი გავიხსენოთ, ტოლსტოიზე რომ არ ვილაპარაკო, იგივე დოსტოევსკი, თავისი დროის პოლიტიკის უდიდესი ანალიტიკოსი „მკვდარი სახლის ჩანაწერებით“, „ძმები კარამაზოვებით“, „იდიოტით“... სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ იმის თქმა მინდოდა, რომ წარმოუდგენელია მწერალი პოლიტიკის გარეშე.

კვლავ ილია ჭავჭავაძეს მივუბრუნდები: მისი პროზა თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია. „ოთარაანთ ქვრივი“ იმ მიმართულებებს ასახავს, რაც ტრიალებდა მაშინდელ საზოგადოებაში. რასაც ადრე „გლახის ნაამბობში“ ხოტბას ასხამდა, შემდეგ „ოთარაანთ ქვრივში“ შეცვალა პოზიცია, შემრიგებლური ხიდის აგების მომხრე გახდა და ამის ქადაგება დაიწყო — ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აყალიბებდა ორიენტირებს.

როცა ილია ჭავჭავაძის პრემია მომანიჭეს, ვთქვი: რაც უნდა პარადოქსად ჟღერდეს, მე მაინც მე-19ს-ის ნაშიერი ვარ-მეთქი. ასეთი განცდა მაქვს. მე, როგორც მოქალაქე, იქ, მე-19ს-ის 60-იანელთა იდეოლოგიაზე ჩამოვყალიბდი. ის იყო ჩემი ფუძე, იქ აღვიზარდე.

ღმერთმა ნუ ქნას და საქართველოს და ქართველს, რომ არ უწერია გადაშენება, ეს, გარკვეულწილად, მე-19 ს-ის 60-იანელთა მიერ არის საფუძველჩაყრილი და ეს ისეთი საძირკველია, რომელსაც ვერ ვშორდებით და ვერც დავშორდებით, რადგან იქ შეიკრიბა ძველი ისტორიულიც, გენეტიკურიც და ამიტომაც არის, რომ ილია ჭავჭავაძე როცა წერს დავით აღმაშენებელზე, გაბრიელ ქიქოძეზე, სიტყვას არ დაძრავს, ენას არ მოატრიალებს, რომ იმ საძირკველის ძირები არ ახსენოს, არ ამოიტანოს, არ გამოამზეურეს, თავის დროს არ მიუსადაგოს და მომავლისკენ არ გაიხედოს.

4 გვ.

←

მგლებმა, როგორც მგელი ტოტია შეჭამეს „კოლეგებმა“.

●

ოპოზიციური პარტიები ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ ნუ დააბრალებენ, რომ ქართული პოლიტიკა ვერ გაიზარდა, ვერ განვითარდა, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრი ბერწ, უნაყოფო წარმონაქმნად იქცა, რომელსაც არ შეუძლია შვას ახალი იდეები, ახალი სახეები, ახალი პოლიტიკური ფიგურები.

თუ ვინმეს ბრალია ეს, პირველ ყოვლისა, ბრალია თავად ოპოზიციისა, რომელიც ვერ მიხვდა, რომ მისი მთავარი კონკურენტი, მისი განვითარების დამამუხრუჭებელი და შემზღუდველი „ქართული ოცნება“ კი არა, „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, რომელმაც მთელი ოპოზიციური სივრცე თვითონ დაიკავა და მათ არსებობის და მოქმედების არეალი წაართვა.

იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას, შეძლებისდაგვარად, შეეზღუდა „ნაცომოძრაობა“ და საბოლოოდ საერთოდ გაეყვანა პოლიტიკური ასპარეზიდან, რომ საარსებო და სამოქმედო სივრცე დაებრუნებინა, ეს ოპოზიციური პარტიები, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ დანამატებად იქცნენ, რაც იმით დააგვირგვინეს, რომ ბოლოს ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად იქცნენ, რომლის ცენტრში „ნაცმოძრაობა“ იდგა და, ცხადია, ყველაფერი მის გარშემო ბრუნავდა და ტრიალებდა.

●

ოპოზიციის დაცემა და მონური ქედდადრეკა იქამდეც კი მივიდა, ისინი, ვინც სააკაშვილს ცოტა ხნის წინათ პოლიტიკურ პირუტყვად, ზნედაცემულ პარანოიკად და ქვეყნის დამანგრეველ და დამაქცეველ მავნებლად მიიჩნევდნენ, ფეხებთან გაუკოტრიალდნენ მას და მორჩილება გამოუცხადეს.

ნაწილი ოპოზიციისა კიევშიც კი ეახლა მიშა-ყაენს და ძმობა და ერთგულება შეჰფიცეს.

სრული კაპიტულაცია, სრული მორალური კრახი, ფსკერი, რომლის ქვემოთ ვერ დაეშვები...

ეს იყო კატასტროფული, საბედისწერო შეცდომა, გამოწვეული პოლიტიკური უწიგნურობით, სიხარბით, უკაცრავად გამოთქმაზე და, პოლიტიკური გონებაშეზღუდულობით და წინდაუხედაობით.

ოპოზიცია დღეს ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს, მაგრამ უკვე გვიანია — ხელიდან არის გაშვებული ძვირფასი რვა წელი, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ კიდევ ბევრი რამ შემატა და კიდევ უფრო გააძლიერა, დანარჩენ ოპოზიციას კი ბევრი რამ დააკლო და კიდევ უფრო დააძაბუნა და დააჩაჩანაკა.

ოპოზიცია თუთიყუშივით ბრმად და გაუცნობიერებლად იმეორებს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოგდებულ მოწოდებას: ყველანი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ! ერთად დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი!

ოპოზიციონერებო, თუ მართლა გონებაშეზღუდულები არ ხართ, იმდენს როგორ ვერ ხვდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის თქვენი მტერი, თქვენი მთავარი მტერი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ნება-ნება გაუპატიურებდათ, მერე, რვა წლის განმავლობაში, ტუალეტის ქაღალდის ფუნქციას გასრულებინებდათ, ახლა კი საზარბაზნე ხორცად გიყენებთ და თქვენს გვამებზე გადავლით ისევ ხელისუფლებაში აპირებს მობრუნებას.

სანამ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ასპარეზზე ბოგინობს, სანამ „ნაცმოძრაობას“ მთავარი ოპოზიციური პარტიის ნიშა უკავია, ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს განვითარება და წინსვლა არ უწერია.

არ არსებობს მნერლობა და პოლიტიკა ერთმანეთის გარეშე

3 გვ.

— მაგრამ ისინი იყვნენ „თერგდალეულები“, როგორც ახლა ამბობენ, ჩვენი დაუძინებელი მტრის — რუსეთის უნივერსიტეტებში გამოზრდილი თაობა.

— ასე ვიწრო გადასახედიდან თუ შეეხედეთ ყველაფერს — შეცდომა იქნება.

უდიდესი მეცნიერები რუსეთიდან მოიწვია ივანე ჯავახიშვილმა და ეს რუსეთში აღზრდილი ქართველი სწავლულები ქართულ უნივერსიტეტში ეროვნულ იდეოლოგიას აღრმავებდნენ და პროპაგანდას უწევდნენ. უზარმაზარი კორიფეები იყვნენ, მხოლოდ შალვა ნუცუბიძის გახსენება იქნება, თუნდაც, საკმარისი.

— „თერგდალეულებმა“ რუსეთში განათლება მაშინდელი დიდი ქართველი ქველმოქმედების ხელშეწყობით მიიღეს. როგორც ჩანს, იმ პერიოდის შეძლებული ადამიანებიც ფიქრობდნენ საქართველოს ხვალინდელ დღეზე და ინვესტიციას საქართველოს მომავალში დებდნენ. ახლაც აგზავნიან ახალგაზრდებს საზღვარგარეთ. რა პარალელელებს გაავლებთ ამ მიმართულებით?

— ასაკოვანი ადამიანი ვარ, ბევრი რამ გამომივლია და ამ ასპექტში, დიდ განსხვავებას ვპოულობ. ადრე უფრო მამულიშვილური მიზნებით აგზავნიდნენ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ. ახლა ეს განცდა, რაღაცნაირად, დაკნინებულია. დღეს ფიქრობენ: წავიდეს, ისწავლოს და რომ დაბრუნდება, იმდენი იშოვოს, რომ ოჯახური და ვიწრო კეთილდღეობა მოიპოვოს.

დავით სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები, კიტა აბაშიძე და სხვები რომ აგზავნიდნენ ახალგაზრდებს, მათ სულ სხვა მიზნები ჰქონდათ. დიახ, დიდი განსხვავება არის.

— მიზეზი?

— მიზეზი ისაა, რომ მაშინ საზოგადოება და მისი ცნობიერება ახლოს იყო მე-18 საუკუნის მოაზროვნეებთან, მე-19 საუკუნესთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, რომლის შემოქმედება მზის გულზე ილია ჭავჭავაძემ გამოიტანა, რომელსაც თავად გადასცა ეკატერინე ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. გახსოვთ, თქვენ, ალბათ, ილია რომ წერდა: ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას რომ გავეცანი, ერთი კვირა სიცხე მქონდა, ავად ვიყავიო.

მაგრამ ახლა სულ სხვანაირადაა ყველაფერი: მომავალ თაობებში ნიჰილიზმი დამკვიდრდა, ცინიზმი გამეფდა, ახალგაზრდა თაობებმა წინა თაობებისადმი პატივისცემა დაკარგეს.

— „ჩარეცხილებს“ და „ჩასარეცხებს“ გულისხმობთ?

— არავისტი არ ვყოფილვარ არასოდეს, იმის მიუხედავად, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ჩემი უახლოესი მეგობრები, ჩემი შვილის — გიორგის ნათლიები იყვნენ. მე იმდენად ვარ პოლიტიკაში გარეული, რამდენადაც ეს პოლიტიკა ჩემი სამშობლოს ბედს ეხება, ამიტომ რასაც ვამბობ, ეს არავითარ სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა მწერლის დამკვირვებლური პოზიციისა.

ნაციონალების შემოსვლამ ქართულ რეალობაში რა საშინელებებიც მოიტანა, ყველამ ვიცით.

პირადად ჩემს ოჯახსაც შეეხო მათი რეპრესიული ხელი.

ისეთი სისასტიკეები ჩაიდინეს, რომ ამ ავბედითობის შედეგებს დღემდე იმკიან ოჯახები, ქვეყანა და ამის გამოსწორება ან საერთოდ შეუძლებელია, ან ბევრი წლები სჭირდება.

ფსიქოლოგიური, სულიერი სტრესები, რეპრესიები ჩვეულებრივი ამბავი იყო. ესენი იყვნენ შარ-



ლატანები, პოლიტიკური შარლატანები, მათი სახელების და გვარების ხსენებაც კი დამამცირებელია ჩემთვისაც და ჩემი აზრით, ყველა ღირსეული ადამიანისთვის.

— ბატონო ლერი, ყველაფერი, რაც ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხდება, ასევე პოლიტიკაშიც, იქნება გლობალიზაციის ბრალია და ამიტომაც ვეღარ ვიხედებით უკან და უფრო უკან, და ვიხედებით მხოლოდ წინ?!

— კვლავ „დაო დე ძინს“ მოვიყვან მაგალითად. ამ ნაწარმოების თარგმნისას, როგორც ჩინურ კულტურას ვეცნობოდი, ასევე ვფიქრობდი, გავრკვეულიყავი იაპონურ კულტურაში, რომ მეთარგმნა შემდეგ იაპონური კლასიკური ნაწარმოებები. იაპონელებს აქვთ ძენის ხელოვნება, რომელიც არ გადაზრდილა ფილოსოფიაში, მაგრამ მისი საფუძვლები დაოსიზმიდან მომდინარეობს. დიდი და თვითმყოფადი იყო იაპონური კულტურა, მაგრამ შუა საუკუნეებში მას ჩინურთან ათქვეფის საშიშროება დაემუქრა, ამიტომაც იაპონელებმა შეწყვიტეს მიმოსვლა ჩინეთთან და ამასთანავე მთელ სამყაროსთანაც. ზღვაში ჩავლილ გემზე ლაპარაკიც კი აკრძალული იყო. მხოლოდ, ერთადერთი, სავაჭრო გემი შემოდიოდა ჩინეთიდან.



დღეს ძალიან ბანალური, თითქმის უგემოვნო, უღიმღამო, კულტურასთან ნაკლები შემხებლობის ლიტერატურა შემოდის ჩვენში უცხოეთიდან, იგივე დასავლეთიდან და ამერიკიდან.

დღეს ყოველივე ქართულის გათქვება-განიავება ადვილი გახდა, რადგან განათლება დააკლდა ჩვენს ერს, ჩვენმა მომავალმა თაობებმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაკლებად იციან მშობლიური ენა. სიტყვების მნიშვნელობაც არ იციან, ქართულ სინტაქსსაც ვერ აყალიბებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგები და იდეოლოგიური თავკაცები ებრძვიან ქრისტიანობას, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი კულტურას ევროპაში. ყოველივე ამან გამოიწვია, კონკრეტულად, საქართველოში, დესპოტიზმი, თავისუფალი სამყაროსადმი სხვაგვარი დამოკიდებულება. ამას თაობები, ევოლუციურად, მაინც გააკეთებდნენ, მაგრამ ნაციონალებმა ნაჩქარევად მოინდომეს. ნაჯახი აიღეს და ახალი ადამიანის შექმნა დააპირეს. იმდენად უვიცები არიან, რომ არ იციან, ახალი ადამიანი უკვე შექმნილია და ის შეიქმნა 2000 წლის წინათ, როცა მესია მოვიდა და დაემკვიდრა მისი მოძღვრება ევროპაში. ვიდრე კაცობრიობა იარსებებს ეს მეორეჯერ აღარ განმეორდება.

— ბატონო ლერი, როგორც ვიცი, თქვენი ვაჟი პატიმარი იყო ნაციონალური რეჟიმის დროს. რა მოხდა, რატომ დაიჭირეს თქვენი შვილი?

— არ მინდა გახსენება. ძალიან გთხოვთ, ნუ მომაყოლებთ ამას. მხოლოდ ერთ ამბავს გავიხსენებ. მე და ჩემი მეუღლე მოვდიოდით გლდანის საპატიმროდან. ჩემი მეუღლე ძველი დისიდენტია და ეს ჩაწერეთ აუცილებლად: სანამ ერთიმეორისგან არ გაარჩევენ ზვიადისტობას და დისიდენტობას, მანამდე სულ გაუგებრობა იქნება, რადგან არც ერთი ზვიადისტი არ ყოფილა დისიდენტი და არც ერთი დისიდენტი თავს ზვიადისტს არ უწოდებს.

ჩემს შვილზე ვლაპარაკობდი, უკანონო პატიმარზე, რომლის უდანაშაულობა არა მხოლოდ ქართულმა სასამართლომ, არამედ მერე სტრასბურგმაც დაამტკიცა. იმ პერიოდში, როგორც გითხარით, გლდანის ციხის პატიმარი იყო. მაშინ ციხის საავადმყოფოში

იწვა და გამწარებული მშობლები მის სანახავად ვიყავით. უკან რომ ვბრუნდებოდით, მარშუტკამ სანაპიროზე გამოიარა, სანაპიროდან წმინდა სამების გუმბათი გამოჩნდა, ჩემმა მეუღლემ პირჯვარი გადაიწერა და ატირებულს აღმოხდა: ნეტა, არავინ მოვა, რომ დაგვიხსნას ამ უბედურებისგანო?! მარშუტკაში ხმა არავის ამოუღია. მძღოლს შევხედე და ცრემლები წამოუვიდა. ვინ გაიღებდა ხმას. გაქანებული ნაცების მმართველობა იყო, მობილურებიდან ელემენტს იღებდნენ, ყველაფერი ისმინებოდა. რომ ჩამოვედით, მძღოლმა ფულიც არ გამოგვართვა. ამ ამბიდან მეორე თუ მესამე დღეს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ.

ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, შეიძლებოდა სახალხო აჯანყება დაწყებულიყო, სისხლიანი დაპირისპირება, რომლის შემდეგაც საქართველო აუცილებლად წაიშლებოდა. ამით მან ყველაფერი სასიკეთოდ შემოაბრუნა და გადაარჩინა საქართველო ორმოში აბსოლუტურად დამარხვისგან. დიახ, ორმოში ვიყავით და დამარხვაღა გვაკლდა.

ახლა ამ კაცს სურს, რაღაცები წამოსწიოს, ფეხზე დააყენოს. კი არ უნდა თქვა: ჯიბეში მილიონები რატომ არ ჩამიდოო, ის უნდა იფიქრო, რას „უდებს“ ჯიბეში შენს ქვეყანას, შენს მომავალს, მაგრამ ამის დამნახავი ძალიან ცოტაა. ბევრი უმეცარია ჩვენს გარშემო, ძვირფასო ირანდა და ახლა ასულელებენ ხალხს „ობიექტივის“ ეთერიდან, ნაცების ტელევიზიებზე აღარ ვლაპარაკობ. ეს უსინდისო ბურჯანაძე და სხვები, აღარ მინდა მაგათზე ლაპარაკი. როგორ შეიძლება, საერთოდ, ნაცებზე საუბარი და მათ გვერდით დაჯდომა ახლა? ესენი უნდა გაიხვეტონ ჩვენი ცხოვრებიდან. ნაციონალები ისტორიის ფურცლებიდან დიდი ხანია გახვეტილი არიან, ოღონდ თვითონ არ იციან და მალე დაინახავენ ამას.

უხერხულია ამის თქმა, მაგრამ, მათი კიდევ მობრუნება ნიშნავს ჩეჩმაში ჩაგდო იქიდან ამოყვანილი ადამიანი.

დღეს აღმშენებლობაზე უნდა ვლაპარაკობდეთ, კულტურაზე, რა გავაკეთოთ, რა შევმატოთ ერს და ქვეყანას.

მეტი განათლება უნდა შემოვიდეს საქართველოში, კიდევ ვიმეორებ: ფესვებზე დაყრდნობილი ევროპული და ამერიკული განათლება უნდა შემოვიდეს და ასე უნდა ვეწაფებოდით მსოფლიო კულტურას.

— ბატონო ლერი, თქვენი გვარი არაქართულია.

— ჩემი გვარი ბერძნული წარმოშობისაა, დედით ბურჯანაძე ვარ. სხვათა შორის, ერთმა ტელეჟურნალისტმა ეთერში ჩემზე თქვა: ეს არის ბერძენი კაცი, ქართულად რომ წერსო. მომჭრა თავი... (იცინის).

საერთოდაც, ჩემო კარგო, საქმე ისაა, რას გაუკეთებ შენს სამშობლოს, თორემ ბევრი ვიცი ქართული გვარით, საქართველოს დაქცევაზე რომ „იღვაწეს“ მთელი ცხოვრება. მაგრამ ჩვენ წინ უნდა ვიყურებოდეთ, მომავლისკენ. ჩემი ნაწარმოებები, თარგმანები, ლექსები და ესეები არასდროს ჩამორჩენია ცხოვრებას, თანადროულობას, ეპოქას და ახლაც, რაც შემიძლია, კვლავ ვშრომობ — ისევ ჩემი ქვეყნისთვის, ისევ საქართველოსთვის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ქართველი საზოგადოება ნაცების რევანშს არ დაუშვებს!

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— ქალბატონო ნანა, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო მარათონს?

— თუ დავაკვირდებით, ვითარება შემდეგია: „ნაცმოძრაობა“ ქვეყანას რვა წელი მართავდა, ასევე, „ქართული ოცნებაც“. ადამიანებისთვის ამ ორი მმართველობის შედარება ძნელი არ არის. საზოგადოება „ნაციონალების“ რევანშს არ დაუშვებს. მათ კარგად ნახეს, როგორ დაიწყო ამ პარტიამ მოღვაწეობა და როგორ დააგვირგვინა. ფაქტობრივად, „ნაცების“ რეჟიმი ძალადობაზე იდგა. „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, იმავეს ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ ძალიან ბევრი დაპირება რომ ვერ და არ შეასრულა, ეს ფაქტია. თუნდაც, გავიხსენოთ, რა მესიჯები ჟღერდებოდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ: ჩვენ, მივხვდით, რატომ ხართ გაბრაზებულნი და ყველაფერს გამოვასწორებთო. მაგრამ ამის მერე საკმაო დრო გავიდა და არაფერი გამოსწორებულა. ამიტომ საზოგადოებაში გაღიზიანება ძალიან მაღალია. ზოგადად, საქართველოში ასეა: ხელისუფლება ვადას რომ ასრულებს, ყოველთვის არის პრობლემები, რაც უმეტესად, შიგნიდან წარმოიშვება-ხოლმე. ყველაზე ხშირად, ოპოზიცია, შიგნიდან იბადებოდა-ხოლმე. ახლა, ეს სურათი არ ჩანს, თუმცა, ნაწილ-ნაწილ, „ქართული ოცნებიდან“ გამოსულები თუ გამოშვებულები ოპოზიციურ ფლანგზე გადავჯგუფდნენ. დღეს, ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში, ზუსტად, ისევე, ვითარდება მოვლენები, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დაისის დროს — სააკაშვილის მაჟორიტარები 2012 წელს „ქართულ ოცნებაში“ გადასკუპტდნენ, მათ შორის, პირდაპირ, მიშასთან ასოცირებული სახეებიც. ახლა, რა ხდება? — გუშინ ვინც „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ და „ნაცმოძრაობას“ აკრიტიკებდნენ, მეტიც, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ, დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ მიუჯდნენ ერთ მაგიდასთან. ეს ყველაფერი, უკვე, ანეკდოტურ ხასიათს იღებს. ოქრუაშვილი საბურთალოზე იყრის კენჭს, სადაც მისი კონკურენტები არიან სერგეენკო და ჩარკვიანიც. ნუ, ვინ ვის ებრძვის და ვინ ვისი კალათებიდან იპარავს კვერცხებს, გაუგებარია.

— „გაერთიანებული ოპოზიცია“ არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიშალა, მეტიც, ერთმანეთსაც დაერიენ.

— ამაში მოულოდნელი არაფერი იყო — ზეთი და წყალი ერთმანეთს ხომ არ ერევა. უბრალოდ, უნდა დააცადო, რომ ზეთი ზემოდან მოიყენოს. ასე იყო მათ შემთხვევაშიც — „გაერთიანებულ ოპოზიციას“ რომ დაირქმევ და ქუჩაში ათას კაცს ვერ გამოიყვან, იქ, ლაპარაკი დამთავებულია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც უკვე მართლა ანეკდოტად არის ქცეული — ხალხი იცინის, რომ დავით ბაქრაძე არის, თურმე, ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი საქართველოში.

— „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა. როგორი შეიძლება იყოს მათი საპარლამენტო სია. ახალ სახეებზე რას იტყვით?

— ზოგადად, სახელისუფლებო ძალას, რა თქმა უნდა, რესურსი ყოველთვის აქვს. მარტო ადმინისტრაციულ რესურსს არ ვგულისხმობ, არსებობს ამომრჩეველთა ნაწილი, რომელიც ყოველთვის ხელისუფლებას აძლევს ხმას. ახალ სახეებს რაც შეეხება, მათ შორის, ჩვენდა გასაოცრად „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი სახეებიც ვიხილეთ. პარტიიდან პარტიაში ხტუნაობა და ხან ერთის სახელით გამოსვლა, ხან მეორესი, უკვე, პოლიტიკურ დაავადებად იქცა. როგორი სიით წარდგებიან, არ ვიცი, ვერ გეტყვი. იქ, ნორმალური ადამიანებიც არიან, ვგულისხმობ, მათ ვისაც რეპუტაცია გასვრილი არ აქვთ. თუმცა, 2012 წელს, ჩვენ, კოალიციაში ისეთი ხალხი და პარტიები ვნახეთ, რომელთა იქ მიყვანა სააკაშვილის რეჟიმის დასამხობად რბილად რომ ვთქვა, სასაცილო იყო. მერე კი მიხვდნენ და იმ პარტიებს და პერსონებს გაემიჯნენ, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი ვინც სიცოცხლის რისკის ფასად დაუპირისპირდა სააკაშვილის რეჟიმს, საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს.

— სააკაშვილმა განაცხადა ნახტომისთვის ვემზადებიო. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი რას დაუპირისპირებს?

— რა ნახტომზეა ლაპარაკი, კარგით, რა. არ მინდა უწმაწურად გამომივიდეს, მაგრამ სააკაშვილი რასაც შეიძლებოდა უკვე ყველაფერს გადაახტა. მეორე წრეზე თუ წავა, არ ვიცი. ახლა, 2003 წელი არ არის და რევოლუციას ვერ მოაწყობს. არც აქვს სათანადო მხარდაჭერა და არც არავინ მისცემს ამის საშუალებას.

„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ნასხლეტები მეორე ადგილიდან ყველა შემთხვევაში გადაჩოჩდებიან, რაც დღემდე ხელოვნურად ეკავათ ისევ, „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით. ის ზღაპარი თუ „ქართულ ოცნებას“ არ ავირჩევთ, ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ მოვა, უკვე, წარსულს ჩაბარდა. ამის არავის აღარ სჯერა.

— ბევრს საუბრობენ, რომ საქართველოს არჩევნებში რუსეთი ჩაერევა და სიტუაციას არევს. რეალურად, ვინ არის აქ, სიტუაციის ამრევი, ვის აწყობს დესტაბილიზაცია?

— იცი რა, რუსეთი ბუად ჰყავთ წარმოჩენილი. არადა, რუსული საქმე, პირველ რიგში, სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთეს, როცა ეკონომიკის ყველაზე წამყვანი სეგმენტი პირდაპირ რუსეთს გადაებარეს და ტერიტორიების 22%, უბრალოდ, აჩუქეს, ლანგრით მიართვეს. თუ ვინმეს ხელის გაშვერა უნდა, აქედან არაფერი გამოვა იმიტომ, რომ ფაქტები თავისას მეტყველებს. ეს რაც „ნაცმოძრაობას“ შეეხება. „ქართულ ოცნებას“ კი სენატორები, კონგრესმენები ეუბნებიან: რუსეთთან ხარ აფილირებულიო. ორივე ძალა ამბობს: ჩვენ, კარგი ბიჭები და გოგოები ვართ, „პატრიოტთა ალიანსია“ პრო-რუსული ძალაო.

— საერთოდ, ეს დამოკიდებულება, რომ საქართველო პრო-რუსებად და პრო-დასავლელებად არის გაყოფილი და პრო-ქართველებს არავინ ახსენებს, რას ნიშნავს?

— იქამდე მივიდნენ, რომ პრო-ქართულს პრო-რუსულად ნათლავენ. თუ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ქართული ინტერესები პრო-რუსულობაზე გადის, კი ბატონო, დაე, ასე იყოს, რატომაც არა. თუ ყველაფერი ქართული რასაც ე.წ. ლიბერალები ეწინააღმდეგებიან და ეზიზღებათ, პრო-რუსულია, ადამიანები აირჩევენ ქართულს. ამას რად უნდა ლაპარაკი. საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მეთოდები ისე დაუძველდათ, ეს აღარ მუშაობს.

— დაძაბული ვითარებაა ბელორუსში. სანამ ეს ყველაფერი დაიწყებოდა 33 რუსეთის მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ბელორუსში არეულობის მოწყობას გეგმავდნენ.

— ლუკაშენკომ იფიქრა, რომ ყველაფერი რაც ბელორუსში მის წინააღმდეგ იქსოვება, რუსეთიდან მოდის. რუსეთი და ჩინეთი — ეს ორი ქვეყანა პირდაპირ, კატეგორიულად ეწინააღმდეგება გარედან, ქვეყანაში თავსმოხვეული ხელისუფლებების მოყვანას. მსგავს ფაქტს ვერ ნახავთ. ლუკაშენკო შეცდომაში შევიდა. აღმოჩნდა, რომ თურმე, რუსეთიდან კი არა, ეს ყველაფერი დასავლეთიდან მოდიოდა და ფერადი რევოლუციის სცენარი განვითარდა. კონკრეტულად ის ადამიანები რისთვის იმყოფებოდნენ ბელორუსში, ეს აქტუალური აღარ არის. ეს ხალხი ლუკაშენკომ გაათავისუფლა როცა დაინახა, რომ საფრთხე რუსეთიდან არ მოდიოდა. უბრალოდ, ლუკაშენკო 27 წელია ქვეყანას მართავს და ამ წლების განმავლობაში მოახერხა ის, რომ შეინარჩუნა საწარმოები, სამუშაო ადგილები, სოციალური გარანტიები, ადამიანები ნორმალურად ცხოვრობდნენ, საქართველოსგან და იგივე, უკრაინისგან განსხვავებით, არ გამათხოვრებულან. ამიტომ, მხარდაჭერა რეალურად აქვთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ოდესმე უნდა დამთავრდეს, ლუკაშენკო სულ ხომ არ იქნება. კი ბატონო, უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, მაგრამ ბელორუსის ხელმძღვანელად ლუკაშენკოს მაგივრად მორიგი სააკაშვილი ხომ არ უნდა მოვიდეს. აი, ამაშია მთავარი პრობლემა, თორემ, ადამიანებს ცვლილებები და უკეთესობა რომ უნდათ, სრულიად გასაგებია და ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. უბრალოდ, დაუშვებელია გაუშვა ლუკაშენკო და მის ადგილას მორიგი სააკაშვილი მოიყვანო.

— ბელორუსის მაგალითზე, საუბრობენ, რომ ანალოგიური

7 გვ.

გოგონა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მეორედ კლავენ

ბაჩალიაშვილებო, რატომ მიუგდეთ საჯიჯგნად თქვენი 23 წლის გოგონას ტანჯული სული არამზადა გვარამიას და გათახსირებულ კილაძეს?

ნაპროკურორალი და აწ „გამომძიებელი“-ჟურნალისტი ნიკუტა გვარამია და მისი „კამანდა“ ჩვეულ „ამპლუაშია“, შეასრულოს კოლექტიური ნაცების პოლიტიკური დაკვეთა, ანუ 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება, მოქმედი ხელისუფლების მიერ შესრულებულ მკვლელობად შეაღოს საზოგადოებას. ნაპროკურორალის მთლად ბოლო „ვერსია“ ასეთია, ფონიჭალის ტერიტორიაზე სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული სამი ავტომანქანა, რომლებიც თამარ ბაჩალიაშვილს მისი გაუჩინარების დღეს უკან მიყვებოდნენ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ი) ოპერატიული ავტომანქანებია. გარდაცვლილის დედამ მთავარი პროკურორს მოსთხოვა დაედგინათ, ვის ეკუთვნოდა ეს ავტომანქანები, პასუხად მიიღო, რომ ამას დრო ჭირდებოდა. პროკურორმა მოატყუა ქალბატონი თამაზაშვილი, რადგან ბაზაში უმარტივესია ნებისმიერი ავტომანქანის მფლობელის დადგენაო. გვარამიას საკუთარი წყაროების საშუალებით დაუდგენია მათი მფლობელი, სახელმწიფო ნომრების ფოტოებსაც აქვეყნებს, ოღონდ უთვალთვალებდნენ თუ არა სამივე „ეკიპაჟი“ ბაჩალიაშვილს გამოძიების დასადგენიაო, „თავმდაბლობს“ ნაპროკურორალი, მაგრამ თურმე ამაში ეჭვი არ „ეპარებათ“, პროკურატურამ ხვალ რაც არ უნდა თქვას, სუს-ის ავტომანქანებიაო. ფეისბუქმომხმარებლების მიერ დაცინვით „შერლოკ ხოლმს-2“-ად შერაცხული გვარამიას აზრით, ბაჩალიაშვილის საქმეზე ძალიან ბევრი მტკიცებულება დაგროვებულა საიმისოდ, თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება არც თვითმკვლელობაა და არც მხოლოდ მკვლელობა, ეს სახელმწიფოს ჩართულობით მომხდარი მკვლელობააო. „ხოლმსი-2“ თავს იწონებს, რომ „მისმა“ დავით ქაშიაშვილმა თქვა პირველმა, რომ ამ „საქმეში“ სამი მაღალჩინოსანია ჩარეული, მაგრამ არ სცოდნიათ რამდენნი არიან „ჩარეული. სამაგიეროდ, იციან (ყოველ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია ჰქონია „გვარამია და კომპანიას“), რომ ბაჩალიაშვილი გამოყენებული ყოფილა ანგარიშებიდან ფულის მოხსნის მიზნით, საქმე რამდენიმე მილიონს ეხება და შემდეგ იგი უბრალოდ მოიშორეს. მათ ეჭვებიც ჰქონიათ რომელი კომპანიის ანგარიშებიდან მოიხსნა ეს ფული, მაგრამ „ყოვლისმცოდნე“ გვარამია ამ „ეტაპზე“ არ ამხელს მის ვინაობას, თუმცა მოუწოდებს, ალბათ ხვდება მას რომ ვგულისხმობ და ვურჩევ ღიად ისაუბროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავასწრებთ და ვისაუბრებთ ამის შესახებო. „გვარამია და კომპანიას“ იმის შესახებაც ჰქონია ინფორმაცია, რომ თამარ ბაჩალიაშვილი აიძულეს, მოეხსნა დიდი თანხები და გადაერიცხა მათ ანგარიშებზე. მალე გვეცოდინება ვინ არიან ეს ადამიანები, ვინც ის აიძულა ასე მოქცეულიყო და ასე დასრულებულიყო მისი ცხოვრება, ანუ ვინ მოკლა ბაჩალიაშვილიო. გვარამიას ამ საგამოძიებო „შედევრს“, რა თქმა უნდა შესაბამისი რეაქცია მოყვა სოციალურ ქსელში, რომ ეს კოლექტიური ნაცებისა და მათი რუპორის მორიგი მცდელობაა, პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიყვანონ ეს დიდი ადამიანური ტრაგედია, რისთვისაც გარდაცვლილი გოგონას ოჯახსაც იყენებენ. ნუთუ ამ ოჯახს ვინმე საღად მოაზროვნე ადამიანი არ ყავს საახლობლოში რომ ურჩიოს, ჩამოშორდნენ ამ ბინძურ „კონტიგენტს“ და მათი სატელიტი ადვოკატად წოდებული რამიშვილიც ზედ მიაყოლონ. ერთია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არ სჯერა ამ „კამანდის“ შემოგდებული „ვერსიების“, ხელისუფლების დისკრედიტაციის უსუსური მცდელობის, საქმე იმაშია, რომ ამ ყველაფრით აიძულებენ იმ ადამიანებს, ვინც მეტნაკლებად საქმის კურსშია რეალობის შესახებ, დუმილი დაარღვიონ, მანამდე ისინი შეგნებულად დუმდნენ, რადგან საქმე უდიდეს ტრაგედიას ეხება. საზოგადოება პირველად მაშინ დარჩა გაკვირვებული, როცა ბაჩანა ლობჟანიძეს თავს დაესხნენ მარტო კომპანია „ზეგი“ კი არა, რომელსაც თურმე რეპუტაციას ულახავდა ეს ახალგაზრდა, არამედ სხვანიც. იგი უცებ მიუღებელი გახდა „გამომძიებელი“ ჟურნალისტებისთვის, ადვოკატ რამიშვილისა და თავად ბაჩალიაშვილის ოჯახისთვისაც. ეს იქამდე იყო, სანამ ლობჟანიძეს ქართული ჟურნალისტიკის ორი „გრანდი“, ელისო კილაძე და ნიკუტა გვარამია „ჩაიხუტებდნენ“. რატომ იყო ამ „კონტინგენტისთვის“ მიუღებელი ლობჟანიძის პოზიცია, გამოვიძიოთ ეს საქმე, რაც ამერიკული ეფბიაი-ს გარეშეც შეიძლება, მომეცით მოკვლევის საშუალებაო, ძალზე საინტერესო იყო, თანდათანობით ირკვევა მიზეზები. ზემოხსენებულების ინტერესია, ვინმეს დაბრალდეს ახალგაზრდა პროგრამისტის სიკვდილი, მაგრამ ეს თურმე არ უნდა იყოს კომპანია „ზეგი“. არ აწყობთ მასზე „დაბრალება“ არაფერ შუაშია ეს კომპანიაო, ამტკიცებს ბაჩალიაშვილის ოჯახიც. რა ვიცი, ამ კომპანიის შეფის აბრაამ რეირბახის ინტერვიუს გაცნობის შემდეგ, ჩვენ ამ პატივცემულთაგან განსხვავებული შთაბეჭდილება დაგვრჩა. ეს კომპანია პორნოსაიტებსაც ამზადებდა, თამუნას ამ სამსახურიდან წამოსვლა უნდოდა, მე არ ვიცი წამოსვლის ზუსტი მიზეზი, მაგრამ ერთი მიზეზი ალბათ, ესეც იყოო, განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ, მაგრამ „გვარამია და კომპანიამ“, ოჯახის ჩათვლით, ეს არაფრის მიზეზად არ ჩათვალა. საზოგადოება იმ სამი მოქმედი მაღალჩინოსნის ვინაობის გამხელასაც ელოდება ამ „კამანდისგან“, ვარაუდის დონეზე მაინც, რომლებსაც თამარის დედა მისი შვილის მკვლელებად მოიხსენიებს. სიმართლის დადგენა არ უნდა არც გვარამიას, არც კოლექტიურ ნაცებს და მგონი, არც ბაჩალიაშვილების ოჯახს, რომელიც როგორც იკვეთება პოლიტიკურ თამაშს თამაშობს, წერენ ფეისბუქმომხმარებლები, 1 ნოემბრის მერე, „საამური“ ცხოვრება გვექნებაო, ამბობს ჯუმბერ ბაჩალიაშვილი, ამისთვის უნდა ეცალოს კაცს, რომელსაც 23 წლის შვილი მოუკვდაო.

„საერთო გაზეთს“ რამდენიმე საკმაოდ ინფორმირებულმა წყარომ (მათ შორის, ბაჩალიაშვილების სამეზობლოდან) საინტერესო ინფორმაციები მიაწოდა. ჩვენ რა თქმა უნდა არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია სრული ჭეშმარიტებაა, თუმცა გადავწყვიტეთ მკითხველისთვისაც გაგვეზიარებინა. ანონიმ რესპოდენტთა განცხადებით, თამარ ბაჩალიაშვილის მშობლებს რამდენიმე წლის წინ ეკონომიურად ძალიან უჭირდათ, რადგან ჯუმბერ ბაჩალიაშვილი ხშირად სვამდა, ოჯახში სულ ჩხუბი და ცემა-ტყეპა ჰქონდათ. ამის შესახებ, ჩვენ უკვე ვწერდით, სოციალურ ქსელში გავრცელებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით. მას შემდეგ, რაც თამარმა მუშაობა დაიწყო, ოჯახის მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჩნდება კითხვა, საიდან ჰქონდა ამ გოგონას ამდენი ფული? მას დიდი შემოსავლები რომ არ ჰქონოდა, ამბობენ მათი მეზობლები, საიდან „მერსედესის“ მარკის ემელის ახალი ჯიპი, რომელიც 15.000 დოლარზე ნაკლები არ ღირს, რომლითაც ჯუმბერ ბაჩალიაშვილი დადის. ის ავტომანქანა, რომლითაც თვითონ თამარი მოძრაობდა, მინიმუმ 10.000 დოლარი მაინც ეღირება. საიდან ჰქონდა 23 წლის გოგოს თუნდაც 10.000 დოლარი? ოჯახის ყველა წევრს გალაქს-10 მარკის მობილური ტელეფონები რომ უკავიათ ყველას, არც ესაა იაფი „სიამოვნება“. ან შედით მათ სახლში და ნახეთ, როგორ მდიდრულად ცხოვრობენ, თამუნას 4500-ლარიანი პროგრამისტის ხელფასი ეყოფოდა ამ ყველაფერს?

იმ ფულმა, რომელიც თამარს შემოჰქონდა დაასტაბილურა მათი მდგომარეობა და ურთიერთობა, ამის მერე აღარ ჩხუბობდნენ, მერე გახდნენ საყვარელი ცოლი და შვილი, თორემ მანამდე ცემით ხოცავდა ცოლშვილს ეს „მოყვარული“ ოჯახის უფროსი. თურმე არაფერი რომ არ სცოდნიათ ამ ცოლქმარს, მათ შორის, სად მუშაობდა მათი შვილი, რატომ არ კითხეს ან დედამ, ან მამამ ასეთ პატარა გოგოს, შვილო 75.000 თანხა ანაბარზე რომ გიდევს, ავტომანქანებს ყიდულობ, ძვირადღირებულ ტელეფონებს ყიდულობ, საიდან გაქვს ამდენი ფულიო. ყველაფერი კარგად იცოდნენ ორივემ. ვინ დაიჯერებს, მთლად გულიბრყვილოს გარდა, რომ თითქოს არ იცოდა თამარმა კომპანია „ზეგი“ პორნოსაიტებს რომ ამზადებდა და ბოლოსღა გაიგო? ბაჩანა ლობჟანიძე ამბობდა თამარი ჩემი შეყვარებული იყოო, მერე გვარამია-კილაძემ, ამ ორმა ბინძურმა არსებამ ისიც ათქმევინეს ამ ბიჭს, რომ თამარს თითქოს პარალელურად შეყვარებული გოგონა ყავდა, ამათი ჭკუით რა გამოდის, ლესბოსელიც იყო?

რესპოდენტთა აზრით, თავი მოიკლა ამ გოგონამ. ძალზე სანდო ადამიანები ამბობენ, რომ იგი აშანტაჟებდა ხალხს, „გაგიბაზრებთ“, გამოგიქვეყნებთ ამ პორნომასალებს თუ ფულს არ გადაიხდითო. შანტაჟის ადრესატები, როგორც ჩანს თანამდებობის პირებიც იყვნენ, ცოლშვილიანი ხალხი, რომლებსაც ცხადია, არ აწყობდა მათი პირადი ცხოვრების გახმაურება. ეს სადაც მუშაობდა იმ კომპანიიდან ყიდულობდნენ ისინი პორნომასალებს, გაარკვია მათი ვინაობა, არც ინტერნეტგვერდისა თუ ფოსტის გატეხვაა დიდი პრობლემა, ლობჟანიძემაც ხომ თქვა, ჰაკერი ვარ, ნებისმიერ საიტს გავტეხავ, მაგრამ ამას არ ვაკეთებო. ხელისუფლებას რა ინფორმაციების გაცემას სთხოვენ, როცა თავადაც ყველაფერი კარგად იციან. გვარამიას რაში აწყობს სიმართლის თქმა, როცა პოლიტიკური დაკვეთა აქვს შესასრულებელი?! მათ უბანში რომ გაიკითხოთ, იმასაც გეტყვიან, რომ „მავანთ“ ბაჩალიაშვილებისთვის ფულის „ახევა“

უნდოდათ, რამდენჯერმე ყოფილა ჰქონდათ მამასთან ამის მცდელობა. აბა საიდან იცის ხალხმა ეს ამბები? რომ დაინახეს უცებ დიდი ფული „გაიჩითა“ ბაჩალიაშვილის ოჯახში, ძვირადღირებული ავტომანქანები, ბინა და სხვა სერიოზული რაღაც, დაინტერესდნენ ამ ფულის წარმომავლობით და გაარკვიეს რომ, რომ როგორც იტყვიან, „არასწორ“ ფულს შოულობდნენ. მერე ამათ მოუსურვებიათ ფულის „ახევა“, მაგრამ ბაჩალიაშვილის ცოლი ფულს „ააზევინებდა“, ხომ უყურებთ რა „ბაევკია“, ერთი იკითხონ უბანში, რამდენჯერ ყავს ნაცემი ქმარი ქალბატონ თამაზაშვილს. თუ ქმარი ურტყამდა, არც ეს აკლებდა. ოჯახში სულ დაკა-დაკა ჰქონდათ, სანამ მანქანას არ უყიდდნენ ჯუმბერის და ლოთობიდან არ „გამოიყვანდნენ“, სახეზე არ ეტყობა ალკოჰოლთან მეგობრობა? ეს ე.წ. ადვოკატი რამიშვილი ერთი უტვინო, უვარგისი და თაღლითი ადამიანია. რამდენ ადამიანს დაპირდა ციხიდან გაყვანას, სასჯელების შემცირებას, მაგრამ მოატყუა. ის „ტროსტი“ რომ უკავია, მართლა ფეხი კი არ სტკივა, ტვინი სტკივა, „სოლიდურობისთვის“ დაათრევს, ვიღაც

„ბლატნოი“ დაინახა „ტროსტით“ და იმას ბაძავს. ელისო კილაძემ რამდენს აახია ფული, ბრალდებულებს ვგულისხმობ, ეგ კიდევ ცალკე თემაა, ერთს პირადად ვიცნობდი, ნარკოტიკებთან დაკავშირებით იჯდა. თუ დაინტერესდებით, შეგხვდებათ ეს ხალხი და მოგიყვებათ „გამომძიებელ ჟურნალისტისა“ და „ტროსტიანი“ ადვოკატის „საგმირო“ საქმეებს.

ბაჩანა ლობჟანიძემ თავიდან ახსენა თამარ ბაჩალიაშვილის დაქალი ვინმე ვარდიაშვილი, რომელსაც აგარაკი ჰქონია თეთრი წყაროს რაიონში, თუმცა ამ გოგონას ახლა აღარავინ ახსენებს. ადვოკატმა რამიშვილმაც დაადასტურა, რომ თამარი თეთრი წყაროს რაიონში „საქმიან შეხვედრაზე“ იყო წასული, ოღონდ რას შეეხებოდა ეს საქმე, ვერ თუ არ აკონკრეტებს.

ყოფილი პოლიტპატიმარი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი შოთა აფხაიძე საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს „არაფერ შუაში მყოფ“ კომპანია „ზეგთან“ დაკავშირებით, რომელიც როგორც ირკვევა, საბავშვო პორნოინდუსტრიას ემსახურება. კომპანია „ზეგი“, რეალურად კრიმინალური პორნოკარტელის საქმიანი პარტნიორია, რომელიც ასევე ჩართულია „ლაივ“-სექსის და ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება-გავრცელებაში. ამ კარტელის ერთ-ერთი ლიდერი ყოფილა „პორნ-ჰაბის“ ვიცე-პრეზიდენტი კერი პრაისი. „ზეგი“ პორნო-ინდუსტრიის სფეროს მედიამაგნატ „მაინდგრიქის“ ნაწილი გახლავთ, რომელიც ასევე ფლობს „ბრაზერსსა“ და ასეულობით სხვა პორნორესურსს. „მაინდგრიქის“ (მისი სახელი სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც ბერძნული გონება) საქმიანობა უკავშირდება ფულის გათეთრებას, გადასახადების დამალვას, არალეგალურ პორნოგადაღებებსა და ბავშვთა პორნოგრაფიას. ბოლო ათი წლის მანძილზე ეს ჰოლდინგი ბევრ სკანდალში გაეხვა და სერიოზული პრობლემები შეექმნა აშშ-ის სამართალდამცავ და სასამართლო სისტემებთან. მან გადასახადების დამალვის მიზნით, თავისი ფინანსური ბრუნვები ოფშორში, კერძოდ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულზე რეგისტრირებულ კომპანიას დაუქვემდებარა, რომელსაც ბრიტანეთის სამეფო ოჯახის, კერძოდ, პრინც ჰარის გარემოცვის ზოგიერთი წევრი ლობირებს. „მაინდგრიკი“ თურმე ყოველწლიურად 20–30 მილიარდი დოლარის შემოსავალს იღებს მოგების სახით. აშშ-ში შექმნილი პრობლემების, ასევე ფინანსურად უფრო მომგებიანი საქმიანობის წარმოების გამო, „მაინდგრიკმა“ კერი პრაისის და ფაბიან ტილმანის (გერმანელი პროგრამისტი) ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რამდენიმე მსხვილი პორნოსტუდია დააფუძნა და საიტებისა და პორნოსტუდიების ტექნიკური მომსახურების სამსახურიც აღნიშნულ ლოკაციაზე გადმოიტანა. მთავარი პროდუქტი, რომელიც უალტერნატივო ნოვაციად იქცა პორნოინდუსტრიის სფეროში არის „ნათსი“, ტრაფიკის გამოთვლისა და მომხმარებელთა გამოკვლევის სისტემა. სწორედ ამ კონკრეტული სისტემის ფუნქციონირებას უწევდა პროგრამულ და სხვა სახის ტექნიკურ მომსახურებას, საქართველოში მოქმედი კომპანია „ზეგი“. 2019–20 წელს ტილმანმა „ზეგს“ რესურსების და სტრიმინგული პორნოსერვისის დომენით მომსახურება დაუკვეთა. სწორედ ეს საიტია უმთავრესი „მაინდგრეკის“ პორნოინდუსტრიაში. ტილმანმა კიდევ ერთი რესურსის, კანადური პორნო ჰოლდინგის მომსახურებაც დაუკვეთა „ზეგს“, რომლის ხელმძღვანელობასთან საქმიან შეხვედრებს, კანადის მოქალაქეები, უსამა იუსეფი, სტეფან მანოსი და მეტომ კიზერი მართავდნენ. ხსენებულნი 2009 წელს, აშშ-ის სპეცსამსახურებს ფინანსური მაქინაციებისა და არალეგალური პორნო-საქმიანობის გამო დაუპატიმრებიათ. ამ სპეცოპერაციის დროს აშშ-ის სპეცსამსახურებმა ექვს მილიარდამდე დოლარი ამოიღეს პორნოჰოლდინგ „მანსეფის“ (ხსენებული კანადელები არიან ამ კომპანიის დამფუძნებელ-ხელმძღვანელნი) ფარული ანგარიშებიდან.

შოთა აფხაიძის განცხადებით, საკითხის საფუძვლიანად შესწავლის, სანდო წყაროების და ზუსტი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ კომპანია „ზეგი“, სადაც პროგრამისტად მუშაობდა თამარ ბაჩალიაშვიული, ჩართული იყო არალეგალურ კრიმინალურ ტრანსნაციონალურ დანაშაულში და თავადაც წარმოადგენს კრიმინალური პორნოკარტელის ნაწილს. საქართველო კარგა ხანია იქცა სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფების თავისუფალი თარეშის არენად, რაც ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს — საიდან და რატომ, ვისი ლობირებით აწარმოებენ დანაშაულებრივ საქმიანობას მსგავსი კარტელები და ვინ დგას მათ უკან? აფხაიძის უარყოფითი შეფასება ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების მიმართ აშკარად გაზვიადებულია, მაგრამ ძალიან რთული ვითარება რომ არის შექმნილი, ზუსტად ტრანსნაციონალურ დანაშაულობებთან დაკავშირებით საქართველოში. ამ დროს, კოლექტიური ნაცები და მათი სატელიტები „ენჯეოშნიკ“-ჟურნალისტების სახით, რომლებიც სრულიად სამართლიანად ყავს შეფასებული მოსახლეობის უმრავლესობას ქვეყნის მოღალატე კასტად, აცხადებს, რომ თურმე ქართული სპეცსამსახურები გასაუქმებელია. ამის ბოლო გამოძახილი იყო ნაცების ბელად სააკაშვილის ნარძლევის, უკრაინიდან „უპრაგონოდ“ გამოპანღურებული „რეფორმატორ-მილიციონერ“, ფრიად ფართოდ მომზირალ ხატია დეკანოიძის „მომზიბლავი“ განცხადება, რომ თუ კოლექტიურ ნაცებად წოდებული „შპანა“ ხელისუფლების სათავეში მოვა, პირველ რიგში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გააუქმებს. ამაზე მეტი აღიარებითი ჩვენება გინდათ, ვინ ლობირებს „მსგავსი“ კარტელების დანაშაულებრივ საქმიანობას საქართველოში „ნაცმოძრაობა“ და მისი ბანდა ხომ არ ლობირებს და იმიტომაც ხომ არ იხევს „შმოტკებს“ და იჭრის ვენებს „გვარამია და კომპანია“ ბაჩალიაშვილის ოჯახის ჩათვლით, პორნოშემოქმედი „ზეგი“, ანკარა წყაროსავით „წმინდაა“ და არაფერ შუაშია თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილთანო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ქართველი საზოგადოება ნაცების რევანშს არ დაუშვებს!

5 გვ.

საქართველოშიც იგეგმება. აქ, ოპოზიცია გვეუბნება, რომ ქვეყანაში ყველაფერი ცუდად არის, ინგრევა, ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება და ა.შ. ეს შეიძლება არეულობის მოწყობის წინაპირობა გახდეს?

— თუ არჩევნების გაყალბების მცდელობა იქნება, მაშინ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში რევოლუციით ვერ მოვლენ. შეიძლება ამ გზით ის პარტია მოვიდეს, ვისაც მხარდაჭერა აქვს. თეორიულად ვამბობ. ასე, რომ ეს სცენარები დაივიწყონ.

— ფერადი რევოლუციების დრო წარსულს ჩაბარდა?

— კი, ამის დრო დამთავრებულია იმიტომ, რომ ეს ტექნოლოგიები იმდენჯერ გამოიყენეს, ყველამ ზეპირად იცის შემდეგი ნაბიჯი რა უნდა იყოს. ეს გლობალისტური ძალები იქამდე მივიდნენ, რომ ახლა, უკვე, ფერადი რევოლუციების სცენარით ამერიკაში ვითარდება მოვლენები. ტრამპი იმდენად სძულთ, რომ მზად არიან ამას ქვეყანა გადააყოლონ.

— ამერიკაში ნოემბერში არჩევნებია, საქართველოზე რა გავლენას მოახდენს?

— ამერიკის არჩევნებს ჩვენზე პირდაპირი გავლენა ექნება. ვიმეორებ, ტრამპი ამბობს, რომ პატრიოტების, ასევე, სუვერენული სახელმწიფოების დრო მოვიდა, რასაც გლობალისტური ძალები გააფთრებით ეწინააღმდეგებიან. მიდის ბრძოლა ყველა ფლანგზე და ყველა იმ მეთოდოლოგიის გამოყენებით, რასაც მანამდე აშშ იყენებდა. მაგრამ აშშ-ში არა მარტო ეს ძალები არიან, არამედ ჯანსაღიც, რომელიც ტრამპს უჭერს მხარს. პროგნოზირება ძალიან რთულია, მაგრამ რა თქმა უნდა, საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმას აშშ-ში რა მოხდება და როგორ განვითარდება მოვლენები.

— რუსეთი რამდენად დათმობს ბელორუსს. ეს მისი ისტორიული ნაწილია.

— ისტორიას თავი დავანებოთ, რუსეთის სარაკეტო თავდაცვისთვის ბელორუსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბელორუსში თუ ნატომ მოიპოვა გავლენა, ეს პირდაპირ დარტყმაა რუსეთის უსაფრთხოებაზე.

— ზოგადად, რა უნდა დასავლეთს?

— დასავლეთს უნდა სრული და უპირობო კონტროლი საქართველოზე. მათ დემოკრატია საერთოდ არ ანაღვლებთ. ზემოთ საუდის არაბეთის მაგალითი ვახსენე და კიდევ რამდენი ქვეყნის ჩამოთვლა შეგვიძლია. დემოკრატია, როცა ამ თემებზე ლაპარაკობენ, არის პაროლი. სინამდვილეში, მათი ინტერესია საქართველო რუსეთთან აომონ და თვითონ მოგებული დარჩნენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული აგრძელებს მაჟორიტარობის კანდიდატების

„ქართულმა ოცნებამ“ ქვემო ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატი გოგი მეშველიანი წარადგინა

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** მსმენელებს მიმართა:

მოგესალმებით, დმანისელებო!

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულად ეს კუთხე, დმანისი, განსაკუთრებით შუა საუკუნეების საქართველოში, ყოველთვის იყო სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, ეს, რა თქმა უნდა, არის პერსპექტივის, დიდი მომავლის საწინდარიც.

აქ, ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, დღეს ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რას გავაკეთებთ ხვალ, როგორი გეგმები გვაქვს. ერთმნიშვნელოვნად ყველანი ვთანხმდებით, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს უკვე დაწყებული და ეს ყველაფერი უნდა დავასრულოთ იმისათვის, რომ საბოლოოდ შეიქმნას ეკონომიკურად ძლიერი, წარმატებული ევროპული სახელმწიფო. ეს არის ჩვენი მიზანი, რომლის ცენტრშიც ყოველთვის იყო ადამიანი და რომლის ცენტრშიც ყოველთვის იქნება ადამიანზე ზრუნვა.

ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ყოველდღიურ შრომასთან ერთად გვმართებს კონკრეტული გეგმა, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს. ჩვენ ზუსტად ვიცით რა, სად და რამდენი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი დღევანდელობა იყოს უკეთესი ვიდრე გუშინ და დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე იქნება უკეთესი, ვიდრე დღევანდელი. ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ერთად, ჩვენ შემთხვევით არ ვამბობთ — „ერთად საქართველოს წარმატებისთვის!“ — იმიტომ რომ მარტო კაცს არაფერი გაუკეთებია და ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებს. შეიძლება სხვადასხვა აზრი გვქონდეს, ბევრი ვიდავოთ, ბევრი დისკუსია იყოს, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ქვეყანას და სამშობლოს, აქ უნდა ვიყოთ ერთად და უნდა ვიბრძოლოთ ერთად. ამ ბრძოლაში, დარწმუნებული ვარ, მაჟორიტარობის კანდიდატი გოგი მეშველიანი იქნება დმანისის რაიონის ღირსეული ხმა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ გამარჯვებას ერთად მივაღწევთ, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ ამ გამარჯვებას მივაღწევთ სამართლიან ბრძოლაში. გამარჯვებას და წარმატებას გისურვებთ!

არჩილ თალაკვაძის სიტყვით გამოსვლა დმანისში

პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის, რომლითაც ჩვენ შევძელით ბევრი რამის გაკეთება ამ წლების განმავლობაში. არსებობს ძალიან მყარი არგუმენტები, რისთვისაც საზოგადოება ირჩევს და ენდობა „ქართულ ოცნებას“, რისთვისაც

მოქალაქეები მხარს უჭერენ ჩვენს გუნდს და ეს არგუმენტები უდავოა. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე უკეთ და წარმატებით შეძლო მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება და დაცვა.. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე უკეთ და წარმატებით შეძლო ზრუნვა ადამიანზე, მის ჯანმრთელობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე. ჩვენ ყველაზე უკეთ შევძელით, დაგვეცვა ბიზნესის თავისუფლება და საკუთრების უფლება რომელიც, ყველას გახსოვთ, რომ წინა წლებში უხეშად იყო დარღვეული.

მინდა გამოვთქვა ჩემი ძლიერი მხარდაჭერა ჩემი მეგობრის, ჩემი კოლეგის გოგი მეშველიანის მიმართ. ეს არის ძალიან წესიერი საჯარო მოხელე, პროგრესული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი, რომელიც უკვე წლების განმავლობაში საქმიანობს პარლამენტში და ამავე დროს, ის რჩება ჩვენი საზოგადოების, თითოეული თქვენგანის უშუალო მოკავშირედ და პარტნიორად. თითოეული თქვენგანის ხმად პარლამენტში. მან წარმატებით იმუშავა ოლქში, სადაც აირჩიეს და მჯერა, რომ წარმატებით იმუშავებს ახლაც, როდესაც თქვენი მხარდაჭერა ექნება. ურთულეს დღეებში, როდესაც კორონავირუსის პანდემიამ გამოცდის წინაშე დააყენა მთელი მსოფლიო, მათ შორის, ჩვენი ქვეყანაც და როდესაც ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის, ამ მხარეში, ჩაკეტილი იყო კარანტინის გამო რაიონები, გოგი იყო ის ადამიანი, რომელიც ბოლო დღემდე, სანამ არ გაიხსნა რაიონი, რჩებოდა საკუთარ ხალხთან, რჩებოდა იმ რაიონში, რომელმაც ის აირჩია. სანამ ყველა საკითხი ბოლომდე არ ამოიწურა, სანამ არ გაიხსნა მიმოსვლა, სანამ არ გაიხსნა პროდუქციის გატანა და არ მოწესრიგდა ჯანმრთელობის პრობლემები, თუ სხვა საკითხები, რომელიც იმ სოფელში და იმ რაიონში იყო, გოგი რჩებოდა ბოლომდე თავის ხალხთან და იმ ზონაში, რომელიც ჩაკეტილი იყო. სწორედ ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორი ადამიანი არის ის და რატომ იმსახურებს იგი თქვენს მხარდაჭერას.

გოგი მეშველიანის სიტყვით გამოსვლა თეთრიწყაროში

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო თეთრიწყაროელებო!

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და მხარდაჭერისთვის. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი გუნდის ლიდერებს — საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ არჩილ თალაკვაძესა და „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანს — ბატონ კახა კალაძეს.

ძალიან დიდი ისტორიული ქარტეხილები ახსოვს ამ მიწა-წყალს. აქ ყველაზე მეტი კულტურული მემკვიდეობის ძეგლია შემონახული, რომელიც ჩვენს დიდ მემკვიდრეობას ასახავს. ამასთან ერთად, აქ არსებული ადგილობრივი უნიკალური ბუნება და კლიმატი თეთრიწყაროს განვითარების ძალიან დიდ პოტენციალზე მეტყველებს. თუმცა თეთრიწყაროს მთავარი სიმდიდრე ადგილობრივი საზოგადოებაა, რომელიც ყოველთვის გამორჩეული ერთობით და თავდადებით ემსახურებოდა ქვეყანას.

ჩვენ ხელისუფლებას, რომელმაც მთავარ საზრუნავად თითოეული ადამიანის კეთილდღეობა და განვითარება დაისახა, საკმაოდ ბევრი პროექტი და პროგრამა აქვს განხორციელებული.

მოგეხსენებათ, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს ყველა მიმართულებით. მხოლოდ პროგრამა — „აწარმოე საქართველოს“ მხარდაჭერით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში 100-მდე პროექტი დაფინანსდა, მათ შორის, 60-მდე ბიზნესის გაფართოების მიზნით.

დიდი ინვესტიციებია განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურისა და სასმელი წყლის სისტემების მშენებლობის მიმართულებით.

ჩვენი ხელისუფლების მოქალაქეებზე ზრუნვის ერთ-ერთ დასტურად ისიც შეიძლება ითქვას, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ბოლო 4 წლის განმავლობაში სტიქიისგან დაზარალებულთა დახმარებისათვის კომპენსაციის სახით 4 მილიონ ლარამდე თანხა გაიცა.

გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ბოლნისში

მოგესალმებით, ბოლნისელებო!

დღეს დიდი პატივია საქართველოს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი, უძველესი სოფლიდან, სულხან-საბას სახლ-მუზეუმიდან ვისაუბროთ ქვეყნის მომავალზე, რამეთუ ჩვენ ყველა უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაც იყო წარსულში. მაგრამ წარსული არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს და წარსულის გასახსენებლად ჩვენ ბევრი მიზეზი გვაქვს.

ყველა ობიექტურმა ადამიანმა იცის, რამდენად ჰუმანური გახდა სახელმწიფო სისტემა ამ წლების შედეგად. ეს ყველაფერი არ იყო შემთხვევითი. ეს ყველაფერი იყო იმ დემოკრატიული რეფორმების შედეგები, რომლებიც წლების განმავლობაში ტარდებოდა, დაწყებული პენიტენციური სისტემიდან, დამთავრებული სამართალდამცავი სისტემით, საპარლამენტო ცვლილებებით და ა.შ.

ამ ყველაფერმა ჩვენ შედეგად მოგვიტანა ბევრად უფრო ჰუმანური და რაც მთავარია, სამართლიანი ქვეყანა და სახელმწიფო. ჩვენს ქვეყანას კიდევ ბევრი შრომა სჭირდება. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ განათლების სისტემა და ეს რეფორმა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, შემდეგი წლების განმავლობაში იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი და დღეს ეს სისტემა არის მიმართული მომავლისკენ. ჩვენს შვილებს, როდესაც ბოლნისში მიიღებენ განათლებას, ჩავლენ თბილისში ან მოუწევთ თავიანთ უცხოელ თანატოლებთან კონკურენცია, უნდა ჰქონდეთ თავიანთი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა.

ჩვენი მოხუცების, ხალხის, რომელიც წლების განმავლობაში შრომობდა ამ ქვეყნისთვის, მოხუცებულობა და პენსია უნდა იყოს ღირსეული. ჩვენ ყველას უნდა შეგვეძლოს სამართლიან პირობებში, კონკურენტულ გარემოში ღირსეულად ვიშრომოთ და ღირსეულად ვარჩინოთ ჩვენი ოჯახები. ეს ის საქართველოა, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ, ეს ის საქართველოა, რომელიც უნდა იყოს ბევრად უფრო სამართლიანი, ჰუმანური, ღირსეული, მაგრამ ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეფექტიანიც. როდესაც ვსაუბრობთ ეფექტიანობაზე, პირველ რიგში ვგულისხმობთ ჩვენს თავს, სახელმწიფო მანქანას და სახელმწიფო ინფრასტრუქტურას. მოგეხსენებათ, ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი შრომა იყო გაწეული და ბევრი ფინანსური ინვესტიცია იყო ჩადებული მაგალითად გზების ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ბოლნისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა, მაგრამ როგორც ვიცი ზაფხულში მაინც გარკვეული პრობლემები არის წყლის დებეტთან და 24-საათიან მომარაგებასთან დაკავშირებით. ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი, მაგრამ მთავარია ის, რომ

ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარდგენას საქართველოს რეგიონებში

ჩვენ ყველანი ობიექტურად როცა ვაფასებთ ვხედავთ, რომ ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი კარგი საქმეა ქვეყნისთვის დაწყებული და ეს ყველაფერი ერთად უნდა დავამთავროთ.

გვაქვს კონკრეტული გეგმა. არავინ იცის ჩვენზე უკეთესად, სად, რომელ სოფელში რა არის გასაკეთებელი. სად გზა არის აღსადგენი, სად — სკოლა, ან საბავშვო ბაღია საჭირო. ამიტომ ჩვენ დასაკარგი დრო არ გვაქვს, ჩვენ კიდევ უფრო სწრაფად უნდა გავაგრძელოთ ამაზე მუშაობა.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ძლიერი რეგიონების გარეშე ძლიერი ქვეყანა ვერ იარსებებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მუნიციპალიტეტი არის ბოლნისი, თავისი რესურსებით, სოფლის მეურნეობით, ისტორიული პოტენციალით, ადამიანებით, თავისი მრავალფეროვნებით და მრავალეთნიკურობითაც. ამ მრავალფეროვნებაშია ჩვენი სიძლიერე, მაგრამ ყველას უნდა გვახსოვდეს, საიდან ვართ, საიდან მოვდივართ, რა ტრადიციების შვილები ვართ და ზუსტად უნდა ვიცოდეთ სად მივდივართ და რა გეგმა გვაქვს. მერწმუნეთ, ჩვენ ეს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად და ზუსტად ვიცით. მერწმუნეთ, რომ გამოცდილებაც გვყოფნის და ქვეყნისთვის შრომის თავდადებაც. ასეთი ადამიანია გოგი მეშველიანი — ჩვენი გუნდის წევრი, უაღრესად პატიოსანი კაცი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება, რომელსაც დარწმუნებული ვარ, თქვენ ჩემზე ბევრად უკეთ იცნობთ. ეს კაცი იქნება ბოლნისის, დმანისის, წალკის და თეთრიწყაროს ღირსეული ხმა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

გამარჯვებას და წარმატებას გისურვებთ, ბოლნისელებო!

„ქართულმა ოცნებამ“ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაურ დარგალი წარადგინა

ზაურ დარგალის სიტყვით გამოსვლა გარდაბანში

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! მივესალმები მთლიანად გარდაბანს!

ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა. შეხვედრა ადამიანებთან, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ თავისი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის წარმატებისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის.

ნამდვილად ამაყები ვართ, რომ აქ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ მუნიციპალიტეტში, გამორჩეულად შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

ჩემო გარდაბნელებო, ჩვენ კარგად ვიცით, რომ მიღწეულ პროგრესს და ჩვენს მუნიციპალიტეტს მოფრთხილება და კიდევ უფრო მეტი განვითარება სჭირდება. სწორედ ეს მიზანი გვაერთიანებს ყველას.

სწორედ ამ მიზნისთვის ყველაფერს აკეთებს „ქართული ოცნება“ დღეს.

სიამაყით ვარ აღვსილი, რომ მომეცა შესაძლებლობა, ვიყო იმ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ხმა პარლამენტში, სადაც ძმობის, ერთობის, ერთმანეთის გვერდში დგომის ფასი ყველაზე კარგად იციან.

აქ ადამიანური ღირებულებები ფასობს. სწორედ ამიტომ, მე მსურს ვიყო თქვენი ღირსეული ხმა საქართველოს პარლამენტში.

არავისთვის იქნება უცხო, თუ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გარდაბანში ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ჩვენი მთავრობის პერიოდში;

სწორედ გარდაბანშია ყველაზე მეტი აშენებული საბავშვო ბაღი, მოწესრიგებული სასმელი წყლის სისტემები, მოასფალტებული გზები. ზუსტად გარდაბანს გააჩნია განვითარების უსაზღვრო პოტენციალი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ეფექტიანი გამოყენება და განვითარება ესაჭიროება.

ნათელია და თითოეული თქვენგანი დამეთანხმება, რომ 2012 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოვიდა, მთლიანად ქვეყანაში და, მათ შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ყველა მიმართულებით ხელშესახებ პროგრესს მივაღწიეთ.

მსურს, ამ ადგილიდან კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა მმართველ გუნდს, რომ მომეცა შესაძლებლობა და დამეკისრა პასუხისმგებლობა, ვიყო ორი უმნიშვნელოვანესი მუნიციპალიტეტის ხმა საქართველოს პარლამენტში.

გპირდებით, როგორც დღეს, ისე 4 წლის შემდეგ, პირნათელი ვიქნები თითოეული თქვენგანის წინაშე;

გარდაბანთან მიმართებაში ორი ძირითადი მიზანი მაქვს — ერთი, ვიყო თითოეული გარდაბნელის ოჯახის წევრი და მეორე, ვიყო თითოეული გარდაბნელის ღირსეული ხმა საქართველოს პარლამენტში.

დარწმუნებული ვარ, 31 ოქტომბერს, ერთად დგომით, სამშობლოს სიყვარულით, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და მომდევნო წლების განმავლობაში უამრავ წარმატებას მივაღწევთ.

ჩვენ გავიმარჯვებთ გარდაბანში, ჩვენ გავიმარჯვებთ მარნეულში;

ჩვენ გავიმარჯვებთ მთლიან საქართველოში!

ქართული ოცნების“ ლიდერები მარნეულში, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის პროცესს გაეცნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ და მარნეულისა და გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაურ დარგალმა, მარნეულში, ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა დაათვალიერეს.

მმართველი გუნდის წარმომადგენლებს ინჟინერმა, გიორგი შერმადინმა ინფორმაცია მიაწოდა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

მარნეულში ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა საქართველოს განათლების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით ხორციელდება.

თანამედროვე სტანდარტების შენობა, სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირების საჭიროებებზე, ექნება საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები.

გარდა სასწავლო კორპუსისა, მოეწყობა კოლეჯის ეზო და ღია სპორტული მოედანი.

ქართული ოცნების“ ლიდერებმა მარნეულში, დევნილებისთვის მშენებარე დასახლება დაათვალიერეს

გერმანიისა და საქართველოს მთავრობების თანამშრომლობის შედეგად, მარნეულში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის სოფლის ტიპის დასახლება შენდება. 31 სახლი იმ დევნილ ოჯახებს გადაეცემათ, რომლებიც მრავალი წელია ამორტიზებულ შენობაში ცხოვრობენ.

გარდა მარნეულისა, მთელი საქართველოს მასშტაბით, დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დამატებით, 122 სახლი აშენდება.

ქართული ოცნების“ ლიდერებმა გარდაბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ და მარნეულისა და გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაურ დარგალმა გარდაბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაათვალიერეს.

პარკში განხორციელებული სამუშაოების შესახებ მმართველი გუნდის ლიდერებს გარდაბნის მერი, რამაზ ბუდაღაშვილი ესაუბრა.

პროექტის მიხედვით, პარკი სრულად რეაბილიტირდება, მოეწყობა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სცენა, კაფე და საბავშვო ატრაქციონები.

გარდაბანში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 962 897 ლარს შეადგენს.

ხაშურის შემოვლითი გზა გაიხსნა

მთავრობის განცხადებით, ეს მაგისტრალი მგზავრობის დროს 40–50%-ით შეამცირებს.

ხაშურის შემოვლითი გზა აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და არსებულ გზას სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან უერთდება. შემოვლითი გზის 13 კმ-იანი მონაკვეთიდან 11.5 კმ-ზე ექსპლუატაციაში შევიდა 4 ზოლიანი გზა.

მთავრობის განცხადებით, გზის შესაბამის მონაკვეთებთან, მოეწყობა სპეციალური, უსაფრთხო სავაჭრო სივრცეები გამართული ინფრასტრუქტურით, რათა მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია შეძლოს.

პროექტი, ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და ევროკავშირის ფინანსური გარანტიით განხორციელდა და 133 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერის წილი პროექტში 50 მლნ ლარია.

საერთო ჯამში, 2020 წლის ბოლომდე აშენდება 70 კმ-იანი ავტომაგისტრალი და თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობას 4 საათი დასჭირდება.

®

ჩარეცხილი ავტორიტეტები და ჩატეხილი ხიდი

წერილი პირველი

დღე არ გავა, ახალგაზრდა არ დაიკარგოს. დღე არ გავა, მტკვარსა თუ სხვა მდინარეებში დამხრჩვალი ახალგაზრდა არ იპოვონ. მიზეზი ათასნაირია, მაგრამ ვფიქრობ, შემთხვევათა უმეტესობა ოჯახურ პრობლემებს, მშობლების უყურადღებობას ან საზოგადოებრივ გაუგებრობას უკავშირდება.

არ მინდა, ახლა გადმოვდგე და დიდაქტიკური ტონით ლექცია წაგიკითხოთ თემაზე: „მომავალი თაობის როლი და რაობა გენდერული თანასწორობის ჭრილში“. ასეთი მსჯელობა სისულელეა.

რამდენიმე დღის წინ მეზობლის ბიჭი დაიკარგა. აეგრე, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ეს ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, კაფე-ბარ „ბაუჰაუსის“ მიმდებარედ, მტკვარში ბიჭისა და გოგოს ცხედრები რომ იპოვეს. ამასაც, ამ მეზობლის ბავშვსაც, მნახველები არიან, მტკვრისკენ აუღია გეზი. ერთ-ერთი სამსახურის ვიდეოკანერამაც დააფიქსირა. თუმცა ამ დრომდე ვერ პოულობენ. ერთი შეხედვით, სტანდარტული შემთხვევაა, ახალგაზრდას რაღაც პრობლემა ჰქონდა, ვეღარ გაუძლო, გადავიდა ჭკუიდან და მორჩა, გადახტა მდინარეში.

რატომ? საიდან? როგორ?

რა გამოგვეპარა ისეთი, რომ ამ დონემდე მივედით? ახლა შემიძლია, ბევრი მიზეზი ჩამოვთვალო: თუნდაც ის, რომ 1991–1992 წლების გასაყარზე „ვლასტი“ ხელში ჩაიგდეს ნაძირალა ავანტიურისტებმა, რურუებმა, იოსელიანებმა თუ კიტოვანებმა. იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩაწურული ყურძნის წვენი დაღვინებულიყო, პირიქით მოხდა, დურდო და მთხლე მაღლა წამოვიდა, ჩვენი ცხოვრება აიჭრა და აირია!

ჩვენ კი რა გავაკეთეთ, როგორ მოვიქეცით?

ცნობიერება გავიმრუდეთ, შევიტრიალეთ, ქვეყნის ამომგდები ჯაბა იოსელიანი დიდების პანთეონში დიდი პატივით დავასაფლავეთ. ამით მომავალ თაობას ვუთხარით, რომ... კი, ბატონო, ასე არ არის, მაგრამ მაინც ასეა. მომავალმა თაობამ ვერაფერი გაიგო, ტვინი აერია და ცნობიერება გაეღუნა.

ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს, იქცეს სახელმწიფოდ, სჭირდება პროპაგანდა და იდეოლოგია. როგორ იქმნება ან ერთი, ან მეორე? იდეოლოგია გახლავთ იგივე სტრატეგია, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო. მაგალითად, ჩვენ გავიზარდეთ საზოგადოებაში, სადაც არსებობდნენ ავტორიტეტები — მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, მუსიკოსები, მხატვრები, ცნობილი ექიმები და ასე შემდეგ. ეს ადამიანები იყვნენ ჩვენთვის სამაგალითონი, თითით საჩვენებელნი და მიუწვდომელნი... ვცდილობდით, მათთვის მიგვებაძა, მათგან გვესწავლა, მათ დავმსგავსებოდით და მიუხედავად „შავბნელი“ სოციალიზმისა, მაინც წესიერები გავიზარდეთ. კი ვთქვი ზემოთ, ჩვენთვის სამაგალითო ადამიანები მოღალატეები გამოდგნენ-მეთქი, მაგრამ ეს ყველაზე ნამდვილად არ ითქმის, საზოგადოებაში დარჩნენ საამაყონიც.

მე პირადად, როცა საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტში დავიწყე მუშაობა (1987 წელს), უცებ ისეთი ცნობილი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი, თავი სიზმარში მეგონა.

ჰოდა, ერთხელაც ხელისუფლებაში ავადმყოფები მოვიდნენ, ეხლაო, ამიერიდან ეგრე აღარ იქნება, ავტორიტეტები ჩვენ ვიქნებითო, ვინც აქამდე იყო, ყველა ჩასარეცხიაო და ჩარეცხეს.

დიახ, კაცები ჩარეცხეს და ყველა იმ სფეროს უტირეს დედა, სადაც ეს კაცები მოღვაწეობდნენ. ვერაფერი ვუთხარით შვილებს, ვერ ავუხსენით, თუ რატომ აღარ იყვნენ ეს ადამიანები საჭირონი. იმათაც ვერაფერი გაიგეს და ხელი ჩაიქნიეს.

მართლაც გაჩნდნენ ჩვენს გარშემო ახალი „ავტორიტეტები“ — ბუღაძეებმა მწერლობა დაიწყეს, დეისაძეებმა მწერლობაც დაიწყეს და მუსიკოსობაც. ერთმა თამარ მეფეს აგინა, ბოზი იყოო და ტაში დაუკრეს. მეორეც შეაქეს, დედაშენზე რომ გიდგება, ძაან მაგარი ამბავიაო.

გამოლაგდნენ ტელევიზორში ვინმე ლევან ხაბეიშვილი, ვინმე მეგი გოცირიძე, ვინმე ბადრი შუბლაძე, ვინმე მაია ორჯონიკიძე... ამათ მოჰყვნენ უგულავები, ბოკერიები, ჩერგოლეიშვილები, ჯანგირაშვილები, აქუები, მაქუები, აკუები, კიკუები და დაგვიწყეს ევროპულ ღირებულებებზე ლაპარაკი, სინდისზე, ნამუსზე, კორუფციასა და გმირობაზე. ცხრა წლის განმავლობაში ერთ სერიოზულ ავადმყოფს ემსახურებოდა თავისი ხროვა და ეს ხროვა თავზე ეჯდა მთელ ქვეყანას. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს (კეზერაშვილები, ახალაიები, ოქრუაშვილები, რურუები), მაგრამ იმდენნი არიან, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

ამჯერადაც ვერაფერი გაიგო მომავალმა თაობამ, ხეირიანად ვერ ავუხსენით, რატომ უნდა ილაპარაკოს ტელევიზორში ავაზაკმა პატიოსნებაზე, ყაჩაღმა კორუფციაზე, ბატმა იურისპრუდენციაზე, ინდაურმა ხელოვნებაზე, ჯორმა პოლიტიკაზე, ხოლო თახსირმა რელიგიაზე? გადაეღრიცა იგივე მომავალ თაობას ტვინი, მას ტელევიზორიდან თუ სოციალური ქსელებიდან უმტკიცებენ, რომ ნარკოტიკი კარგია, მარიხუანა მშვენიერია, ბოზობა კაი ბიჭობაა და ასე შემდეგ. დიახ, ყოველ საღამოს მას ჩასჩიჩინებენ, რომ რაც ამ ქვეყანაში კეთდება, ყველაფერი ცუდია, ბიძინა ივანიშვილი ხეებს გლეჯს და თავის ეზოში მიაქვს, ბერა ივანიშვილი მკვლელებს მფარველობს, თუ ადამიანს „ჩაჯვი“ ჰქვია, ეს კარგია, აბასთუმანში გრანდიოზული მშენებლობები რომ მიდის, კატასტროფაა, ბიძინა თავისთვის აკეთებს, მთელ ქვეყანას ჯიბეში იდებს და ასე შემდეგ.

დაიბნა მომავალი თაობა, ვერ გაიგო, რატომ მიაქვს ივანიშვილს ხეები სადღაც, რატომ ხსნის დენდროლოგიურ პარკს უფასოდ, რატომ ხსნის ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტს? ჩვენ ვცდილობთ, ავუხსნათ, რომ ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ისინი ეჭვის თვალით გვიყურებენ, აგერ, ტელევიზორში და სოციალურ ქსელებში პირიქით ლაპარაკობენო.

იდეოლოგია არ გვაქვს, პროპაგანდამ ჩაილურის წყალი დალია. ავტორიტეტები არ ჩანან, თითქოს ყველა გაქრა. ყოველ საღამოს ეკრანზე გიჟების დოღია, ავადმყოფებს მიჰყავთ „პარადი“ და ამ ყოველივეს ბოლო არ უჩანს!

ამჯერად ერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც აუცილებლადაა გასაკეთებელი ამ ქვეყანაში: 1937 წელს იტალიაში დაარსდა კინოქალაქი (ჩინეჩიტა), კინოსტუდიის დაარსების მთავარი სლოგანი იტალიურად ასე ჟღერდა — „კინო ყველაზე მძლავრი იარაღია“. მართალია, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყო ჩავარდნა, მაგრამ შემდგომში, როგორც ვიცით, იტალიურმა კინომ კლასიკურ დონეს მიაღწია.

რა მოხდა, რაში სჭირდებოდათ იტალიელებს მრავალფეროვანი ფილმები? მათ მიზანი თავიდანვე გაამხილეს — კინო ყველაზე მძლავრი იარაღიაო. დიახ, სრული სიმართლეა, ხელოვნების ამ დარგის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია, ჩამოაყალიბოს ასევე მძლავრი იდეოლოგია.

რას ნიშნავს მძლავრი იდეოლოგია? პოპულარულ ენაზე გეტყვით: ეს არის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება არა „ჩაჯვის“ ან ნოდარა მელაძის დონეზე, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე. კარგად გამიგეთ, მე არ ვგულისხმობ დიქტატორულ მოვლენებს და ვიღაცების ხუშტურების ჩანერგვას საზოგადოების ცნობიერებაში. ახალგაზრდულ წლებში არსებობს პერიოდი, როცა ადამიანი სწავლობს კარგისა და ცუდის გარჩევას, ნორმალურისა და არანორმალურის შემეცნებას, მას უყალიბდება წესი, ჩვეულება, უფროსებისადმი პატივისცემა და ასე შემდეგ. აი, აქ თამაშობს ძალიან დიდ როლს კინო, როცა მოვლენა, გმირი ხდება მისი მისაბაძი. არ ვიცი, შეიძლება კარგად ვერ ვხსნი, მაგრამ ვცდილობ, ყველაფერი გასაგებად გითხრათ... მაგალითად ავიღოთ თუნდაც ამერიკული კინო, რა სახის ფილმებს იღებენ დღეს ჰოლივუდში? ისეთი სახის ფილმებს იღებენ, სადაც გმირების ცვენაა — გმირი პოლიციელები, გმირი სამხედროები, გმირი ჟურნალისტები, გმირი მწერლები, გმირი ექიმები და ასე შემდეგ. თითქმის ყველა ამერიკულ ფილმში სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე, შეიძლება არიან ცუდი პოლიციელები, ცუდი სამხედროები, მაგრამ მათ ყოველთვის ანადგურებენ კარგი პოლიციელები და კარგი სამხედროები.

ამერიკული იდეოლოგია არის ასეთი: კარგი არის კარგი, ხოლო ცუდი არის ცუდი... არ შეიძლება, ცუდმა აჯობოს კარგს და ამ შემთხვევაში უპირველესი გახლავთ სახელმწიფო, ანუ ამერიკა!

ბარემ აქვე გეტყვით, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ იქ კინოინდუსტრია სწორად მუშაობს. პოლიციელი ნებისმიერ ქვეყანაში უნდა იყოს წესრიგის დამცველი და სამართლიანობის აღმდგენი, არ აქვს მნიშვნელობა, რუსია, ამერიკელია, ინდოელი თუ ჩინელი.

რა ხდება ჩვენთან?

არაფერი, 30–35 წლის განმავლობაში ვერ გადავიღეთ ერთი ნორმალური ფილმი. თუ გადავიღეთ, არის „ხლამი“, სადაც პირდაპირ მიდის ქუჩური ბაზარი და დედის გინება. აქ ნარკომანი და მკვლელი არის კაი ტიპი, ხოლო პოლიციელი — ჩმორი. ჩვენ ვერ შევქმენით კინო, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, მომავალი თაობის ტვინზე მოახდენდა გავლენას. ვერ შევქმენით კინოგმირები, რომლებიც სამაგალითონი იქნებოდნენ ახალგაზრდებისთვის. ვერ შევქმენით და მივიღეთ ის, რასაც დღეს ვუყურებთ.

ერთხელ ავადმყოფი ააკაშვილი გამოვარდა და მობოდა, დავით აღმაშენებელზე ფილმი უნდა გადავიღოთო.ე.წ. მწერლებიც გამოჩხრიკა ბუღაძეებისა და დეისაძეების სახით, მგონი ფულიც გამოყო, მაგრამ ამ უდღეურებს რა სცენარი უნდა დაეწერათ, ან რა ფილმი უნდა გადაეღოთ?!

სამაგიეროდ, ტელევიზორში გამოჰყავთ ქარაქუცა ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც უტიფრად აცხადებენ, ჩვენ დავით აღმაშენებლები გახლავართო.

მომავალი თაობა აქაც ჩავარდა საგონებელში, თუ ბადრი შუბლაძე, ან ჯუნიორ ვაშაძე, ან აზორ ბურჯანაძე აღმაშენებლები არიან, ნეტა ნამდვილი აღმაშენებელი რანაირი იყოო? სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა არ იციან, როგორი იყო ნამდვილი დავითი და რატომ უწოდებენ ილია ჭავჭავაძეს ერის მამას.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება პატრიოტული ფილმებიო. დიახ, გვჭირდება და მერე როგორ?

კიდევ რა გვჭირდება, კიდევ რა არის საჭირო, ამაზე მომდევნო ნომერში მოგახსენებთ. ამ თემაზე სალაპარაკო და საწერი ძალიან ბევრია.

P.S. მეზობლის ბიჭი, დასაწყისში რომ გითხარით, დაიკარგა და ეძებენ-მეთქი, იპოვეს... უფრო სწორედ, მისი ცხედარი იპოვეს მტკვარში. ძალიან ვწუხვარ და ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მე ბელორუსში არაერთი საოცრება ვნახე

ჩვენს მოძმე ბელორუსში კვლავ დაძაბული ვითარებაა. პრეზიდენტი ლუკაშენკო არეულობის მოწყობაში ამერიკელებს ადანაშაულებს, ამერიკელები და ევროპელები მას დიქტატორობაში ადანაშაულებენ. მიუხადავად ამისა, დღეს ყველა აღიარებს, რომ ბელორუსი ეკონომიკურად ერთ-ერთი წარმატებული და დალაგებული ქვეყანაა, რომლის დანგრევასაც გარკვეული ძალები ცდილობენ. და მაინც, რას წარმოდგენს ეს სახელმწიფო, რატომ ამბობს ბელორუსთა ერთი ნაწილი უარს აწყობილ, ანუ მშვიდ ცხოვრებაზე? ამ შეკითხვებზე „საერთო გაზეთს“ შპს „რეალექსპერტის“ დირექტორი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.

– ქალბატონო მაია, თქვენ ინტერვიუს ჩაწერამდე მითხარით, ბელორუსში ბოლო დროს სამჯერ ვიყავიო, ტურისტული მიზნით იყავით თუ პროფესიიდან გამომდინარე?

– მე ვიყავი პროფესიიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათობაა, როცა ერთი ექიმი მეორე ექიმზე წერს, ესა და ეს არასწორად გააკეთაო, აქ „კოლეგიალობის“ მომენტია ძალიან ძლიერი. ბელორუსში წავედი იმიტომ, რომ მინდოდა, ერთ-ერთ ექსპერტიზაში ჩამერთო იქაური ექიმები. ჩავედი მინსკში, შევხვდი კოლეგებს, გავეცანი მათ სტრუქტურას და დავრჩი ძალიან კმაყოფილი. იმდენად გონივრული სამედიცინო სისტემა აქვთ შექმნილი, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, მსგავსი რამ აქაც შექმნილიყო. იმდენად მომხიბლა ბელორუსულმა მედიცინამ, მეორე ჯერზე უკვე ოჯახით წავედი, ჩემმა სიძემ, რომელიც ექიმია, მინსკში გაიარა ტრენინგი. დამიჯერეთ, მე მსგავსი სიმშვიდე არც ერთ ქვეყანაში არ მიგრძვნია. ეს არის ადამიანური სიმშვიდე, რომელიც ჩვენ დავიწყებული გვაქვს.



– როგორ ფიქრობთ, როგორ მიაღწია ამ პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ასეთ წარმატებას, თვითონ ხალხია ასეთი თუ პატრონი ჰყავთ კარგი ლუკაშენკოს სახით?

– მე თავის დროზე ვმუშაობდი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, რუსეთში. მოგეხსენებათ, მაშინ ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიოდნენ განათლების მისაღებად და აქედან გამომდინარე, ძალიან კარგად ვიცნობ ბელორუსებს. ისინი საბჭოთა პერიოდშიც კი გამოირჩეოდნენ თავმდაბლობით და კულტურით. ეს ხალხი უცნაურად თავმდაბალია. ახლა რომ ჩავედი, უკვე სხვა ეპოქაში, ვნახე უკეთესი სიტუაცია, ასეთი ზრდილობიანი და შრომისმოყვარე ადამიანები არსად მინახავს. რაც მთავარია, ქუჩაში გამოსვლის შიში არ გაქვს, მათხოვარი არ მინახავს, თუ ოდნავ მთვრალი გამოჩნდება სადმე, იმ წუთასვე გააცილებენ სახლში. საერთო ჯამში ორი თვე ვიყავი მინსკში, მე ქუჩაში მათხოვარი და მთვრალი ადამიანი არ მინახავს. უკვე გითხარით, მედიცინა არის ძალიან მაღალ დონეზე, ყველაფერი არის ხელმისაწვდომი – სულერთია, ჩასული ხარ თუ ადგილობრივი. დიაგნოსტიკისა და კვლევების უდიდესი ნაწილი უფასოა. არის კერძო სამედიცინო დაწესებულებებიც, მაგრამ ფასების მხრივ ჩვენთან შედარებაც არ შეიძლება. მაგალითად, როცა მინსკში ჩავედი, გაციებული ვიყავი და დამჭირდა სასწრაფოს გამოძახება. შემეშინდა, მაშინ ღორის გრიპი მძვინვარებდა, ამ შემთხვევაშიც გამაოცეს, თვითონ გამომიძახეს ოჯახის ექიმი, გამიშვეს რედგენზე და სულ გადავიხადე 7 მანეთი, დაახლოებით 8 ლარი.

– თქვენ ქუჩა ახსენეთ... მაგალითად, როდესაც რუსეთში შედიხარ, აშკარად გრძნობ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ხარ, ბელორუსში რა ხდება?

– შინაარსობრივად ბელორუსში ეს არ იგრძნობა. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ იქ ისევ საბჭოთა კავშირია, ეს არის საკმაოდ მოდერნიზებული სოციალიზმი. თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ საბჭოთა სისტემიდან გადასვლა სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. მაგალითად, სამედიცინო სფეროში იქ არის ძალიან მკაცრი რეგულაციები, ჩვენთან შეგიძლია, იოლად გახსნა კლინიკა. ეს შეიძლება ჩავთვალოთ მინუსად, მაგრამ სამაგიეროდ ხარისხია ძალიან მაღალი.

– არა მგონია, ეს მინუსი იყოს.

– მე ამას ნაკლად ნამდვილად არ ვთვლი. თუმცა თვითონვე აღნიშნავენ, ეს მომენტი თქვენთან უფრო უკეთესადაა. კი, ბატონო, ჩვენთან აშკარად გაუმჯობესებული სიტუაციაა, მაგრამ არის კლინიკები, სადაც, ადამიენებს ვუსურვებ, არ აღმოჩნდნენ. ამ სფეროში სიმკაცრე აუცილებელია. მინსკში დავინახე ერთი მომენტი, ადამიანებს რაც არ უნდა კარგი პირობები შეუქმნა, ითხოვენ უფრო მეტს. იქ ცოტა წუწუნსაც მოვკარი ყური, ევროპელებთან შედარებით მცირე ხელფასები გვაქვსო. ისინი უკვე ედრებიან ევროპას.

– ბელორუსია მაინც არის აგრარული ქვეყანა, პროდუქტებზე როგორი ფასებია?

– ფასები ნორმალურია... ერთს გეტყვით, თუ ბელორუსულ კარტოფილს გასინჯავთ, აღარ დაგავიწყდებათ, ბავშვობა გაგახსენდებათ, უგემრიელესია. აგრარულ ბაზრებში ისეთი საოცარი წესრიგია, გაგიკვირდებათ, არ დაიჯერებთ. გამყიდველს ვერ ნახავთ ხელთათმანების გარეშე. კვირაში ერთხელ არის სანიტარული დღე. ყველაფერი არის ადგილობრივი წარმოებისა. რძის პროდუქტები და ძეხვეული ძალიან მაღალი ხარისხისაა, კონტროლი გაძლიერებულია. ერთი კვირის სამყოფი რომ იყიდო ყველაფერი ოჯახისთვის, 3–4 ადამიანზე, დაახლოებით გიჯდება 45 ლარი. ტანსაცმელიც კი ადგილობრივი წარმოებისა აქვთ, საოცრად მაღალი ხარისხისა.

– ესე იგი, არსებობს ქვეყანა, რომელიც არის მოწესრიგებული, მშვიდი, ყველა მუშაობს, არავის შია, მაგრამ მაინც ეძებენ რაღაცას. იქნებ იცოდეთ, რას?

– სანამ ამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, ერთსაც გეტყვით: არავის ეგონოს, რომ ბელორუსში მარტო მუშაობენ და მთელი დღე ფაბრიკა-ქარხნებში არიან შეყუჟულები, ისეთი გასართობი ცენტრები და საკონცერტო დარბაზები აქვთ, საოცარი. უამრავი უცხოელი ვარსკვლავი ჩამოჰყავთ, მაყურებელი ხომ საერთოდ. მე მინდოდა რამდენიმე კონცერტზე დასწრება და ბილეთები ვერ ვიშოვე. მინსკში უმაღლეს დონეზეა განვითარებული ღამის კლუბები, ღამის ცხოვრება.

– ჰოდა, სამოთხეში უცხოვრიათ, რაღა უნდათ, რას ეძებენ, ქვეყნის დანგრევა უნდათ?

– გეტყვით... მე ლიტვაშიც ჩავედი მატარებლით, იქაც იგივე საქმე მქონდა. რა ვნახე? დანგრეული სახლები, საკმაოდ უსუფთაო გარემო და ნაგავი. მე ვიცი, საბჭოთა პერიოდში ბალტიისპირეთი უფრო სუფთა და მოვლილი იყო, ჩვენთვის ევროპას წარმოადგენდა. ახლა შედარებაც არ შეიძლება. იმდენაც მოუწესრიგებელი და არეულია იგივე ვილნიუსი, გაგიკვირდებათ. არადა, ხალხი ბუნებით იქაც მოწესრიგებულია, მაგრამ ამბობენ, ევროკავშირში და ნატოში მიგვიღეს, მაინც არაფერი გვეშველა, სულ სხვანაირ ცხოვრებას ველოდითო. ტაქსის მძღოლმა მითხრა, აქ ბელორუსები რომ ჩამოდიან, უკვირთ, ასე რატომ ხართო? ახლა იმაზე, რა უნდათ ბელორუსებს, რა არ მოსწონთ? პირველი – ხელფასები უნდათ უფრო მაღალი, ანუ ევროპული; მეორე – სიტყვის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება. ვაღიაროთ, ეს პრობლემა ნამდვილად არის.

მე ლაყბობის თავისუფლებას ისეთი ცხოვრება მირჩევნია, როგორიც ბელორუსშია – სიმშვიდე, სოციალური დაცვა, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სამსახური. იქ დანევროზებულ ადამიანებს ვერ ნახავთ.

– თქვენი პროგნოზი როგორია, ლუკაშენკო დამარცხდება?

– პროგნოზი შეიძლება გააკეთო ლოგიკის თანახმად, თუ მოვლენები დამოკიდებულია მოსახლეობის განწყობაზე. ზოგს ჰგონია, ამ ქვეყანაში იგივე რუსები ცხოვრობენ, არა, ისინი რუსებისგან ძალიან განსხვავდებიან, ასევე განსხვავდებიან უკრაინელებისგან. ჩემი აზრით, ისინი შედიან იმ ხაფანგში, რომელიც შესაძლოა მათზე არც არის დამოკიდებული. დღეს საკითხი დგას ასე: უნდა დაინგრას და მორჩა, გეოპოლიტიკას ასე სჭირდება. ეს არის მარყუჟი რუსეთის გარშემო. მე უბრალოდ მენანება ბელორუსი ხალხი, ძალიან ტკბილი, ძალიან თბილი ხალხი იმისთვის, რაც უნდა გაიარონ. კი, შეიძლება, ცოტა მეტი ხელფასები მიიღონ... თუმცა ეგეც საკითხავია, შეიძლება სიტყვის თავისუფლებაც მოიპოვონ, მაგრამ ქვეყანას გააცამტვერებენ.

თუ ლუკაშენკო ქვეყანას შეინარჩუნებს და იმედი მაქვს, შეინარჩუნებს, თუ ნელ-ნელა დათმობს ძალაუფლებას და ცოტაოდენ შეცდომებსაც გამოსაწორებს, ეს იქნება ძალიან კარგი. ვიმეორებ, მე არსად არ მიგრძვნია თავი ისე მშვიდად, როგორც ვიგრძენი მინსკში.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

დონალდი და ჯო - ბებერი ლომების დიდი შერკინება

არეულობები ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება. რადიკალურად განწყობილ მოსახლეობას, რომლებიც რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საფარქვეშ შეინიღბენ, არ აინტერესებთ ქვეყანაში მძვინვარე არც „კოვიდ 19“ და არც სტიქიური უბედურებები — ტყის ხანძრები თუ წყალდიდობები. ასეთ არასტაბილურ ვითარებაში, როგორ ჩაივლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნები, ექსპერტები ვერაფერს ამბობენ.

...ოთხი დღე გრძელდებოდა დემოკრატიული პარტიის ყრილობა, სადაც საბოლოოდ უნდა დაესახელებინათ საპრეზიდენტო არჩევნებში თავიანთი წარმომადგენლის ვინაობა. თუმცა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ შემოდგომაზე კენჭს ჯო ბაიდენი იყრის. პანდემიის გამო ყრილობას უჩვეულოდ მცირერიცხოვანი დელეგატები ესწრებოდნენ, ღონისძიება ძირითადად ვიდეოჩართვით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა დისტანციურად ჩატარდა, ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ ტელემაყურებელთა საკმაოდ მცირე რაოდენობას. ყოველივეს დემოკრატების და მათი კანდიდატისადმი ამომრჩევლის მხრიდან დაბალი ინტერესით ხსნიან.

ყრილობის დაწყებამდე ჯო ბაიდენს უნდა დაესახელებინა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი. წინასწარვე ბაიდენს, საკუთარი პარტიის წევრებმა ფაქტობრივად ულტიმატუმი წაუყენეს — ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე აუცილებლად დაესახელებინა შავკანიანი ქალი. ყველასათვის მოულოდნელად ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად სენატორი კამილა ჰარისი დაასახელა. საინტერესოა, რომ ბაიდენმა ჰარისს წარდგენამდე საათნახევრით ადრე ესაუბრა ტელეფონით და აცნობა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. ჰარისი უყოყმანოდ დათანხმდა. ბაიდენმა კანდიდატი სახლიდან გაუსვლელად, ვიდეოჩართვით დაასახელა. კამილა ჰარისის საჯაროდ წარდგენისას ბაიდენმა კვლავ სუფლიორის დახმარებით ისარგებლა. ამით უფრო გაამყარა პოლიტოლოგების შიში, რომ ბაიდენს მახსოვრობის პრობლემა აწუხებს.

ვიცე-პრეზიდენტად შავკანიანი ქალის დასახელება დემოკრატებს საკუთარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სურდათ. მათი აზრით, შეძლებს მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ წევრების და საერთოდ ფერადკანიანი ამომრჩეველთა, მიმხრობას. თუმცა, შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა. ბაიდენი, პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, რეიტინგით 14%-ით უსწრებდა. კამილა ჰარისის ვიცე-პრეზიდენტად დასახელების შემდეგ სხვაობა მინიმუმამდე დაეცა. ბაიდენის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პირველი ფერადკანიანი ქალი იქნება, ვინც დაიკავებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. კამილა ჰარისის მამა იამაიკელია, დედა — ინდოელი. ამერიკელმა ჟურნალისტებმა ამოქექეს — ჰარისის წინაპრები იამაიკაზე მონათმფლობელები იყვნენ. თავად კამილა 55 წლის არის, პროკურორობის დროს შეუვალი იყოო, ახასიათებენ თანაპარტიელები. გასულ კვირას ტელევიზიით აჩვენეს შავკანიანი კაცი, რომელმაც სწორედ პროკურორ კამილა ჰარისის წყალობით გაატარა რამდენიმე წელი ციხეში, მკვლელობის ცრუ ბრალდებით. „ჩემნაირად შეთითხნილი ბრალდებით ბევრი ჰყავდა დაკავებული“, — განაცხადა ყოფილმა ტუსაღმა და შემდგომ გამართლებულმა.

თავისი არჩევანით, კამილა ჰარისის წარდგენით, ჯო ბაიდენმა პოლიტიკოსების გაოცება გამოიწვია. შარშან, პრაიმერის დასაწყისში ყველაზე მეტად, ამასთან უხეში ფორმით, სწორედ ჰარისი აკრიტიკებდა, მოძალადეს, რასისტსაც უწოდებდა. ახლა აზრი შეიცვალა. ჟურნალისტის კითხვას, როგორ შეძლებთ ერთად მუშაობას როდესაც ასე აკრიტიკებდითო, უპასუხა რომ დებატები იყოო, ფაქტობრივად თავი იმართლა. დონალდ ტრამპმაც დაუწუნა ბაიდენს არჩევანი. მისი განცხადებით ჰარისი „...ყველაზე არასასიამოვნო ადამიანი იყო სენატში“. როგორც ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებისას, ტრამპი ახლა ჰარისის აშშ-ის მოქალაქეობის კანონიერებაზე დაეჭვდა.

დემოკრატების ყრილობის დაწყებამდე დონალდ ტრამპის წინამორბედის, ობამას მეუღლემ მიშელმა სასტიკად გააკრიტიკა მოქმედი პრეზიდენტი (?!). მისი გამოსვლა თითქმის 19 წუთი გრძელდებოდა. ტრამპის კრიტიკა არ დაიშურეს ბარაკ ობამამ, (თუმცა, არც ჯო ბაიდენს უყურებს კეთილი თვალით) ბილ კლინტონმა. ამით მათ დაარღვიეს აშშ-ი დამკვიდრებული წესი-ყოფილი პრეზიდენტები (მით უფრო მათი მეუღლეები) არასოდეს აკრიტიკებენ მოქმედ პრეზიდენტს. ბილ კლინტონს გაახსენეს საკუთარი წარსული პრეზიდენტობისას, მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებული სკანდალი, ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ფოტო, რომელიც გადაღებულია სკანდალურ პიროვნების ჯეფრი ეპშტეინის თვითმფრინავში, სადაც კლინტონს მასაჟს უკეთებს ვიღაც ქალი... ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ბილ კლინტონს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯეფრი ეპშტეინთანო, აცხადებენ ტრამპის მხარდამჭერები.

უცნაური ფაქტია — პრეზიდენტს ზოგიერთი თანაპარტიელიც დაუპირისპირდა, მათ შორის გამოსარჩევია ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რომელმაც ერაყში აშშ-ის ჯარების შეყვანის პროვოცირება შეძლო. რესპუბლიკელები ირონიულად აღნიშნავენ, რომ დემოკრატებს კოლინ პაუელის პასუხისგებაში მიცემა უნდოდათ, შემთხვევით გადარჩა, ახლა კი მათი მხარდამჭერიაო.

უქმად დროს არ კარგავს დონალდ ტრამპი. იგი შტატიდან შტატში დადის და პირადად ხვდება მოსახლეობას ბაიდენისგან განსხვავებით, რომელიც ფაქტობრივად ჩაკეტილი ჰყავთ თანაპარტიელებს. ტრამპის განცხადებით, მხოლოდ მას შეუძლია აშშ-ის ანარქიისგან დაცვა, რაც დემოკრატების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ემუქრება ქვეყანას. მისივე თქმით, აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, თორემ ქვეყანა დაენგრევათ. ჯო ბაიდენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში აპირებს ხელფასები მნიშვნელოვნად შეუმციროს პოლიციელებს.

აშშ-ი კრიმინოგენური სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა, რადგან პოლიციელები მასობრივად ტოვებენ სამსახურს, ამაზე შესჩივლეს ტრამპს. „... ქვეყანაში წესრიგის დამყარების მომხრე ვარ და უპირობოდ მხარს კოპებს ვუჭერ“ — განაცხადა ტრამპმა და წესრიგის დამცველებს დახმარებას დაჰპირდა. ამასობაში კი კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ შვებულება სასწრაფო წესით შეაწყვეტინა კოლეგებს, ფოსტით ხმის მიცემის პროცედურა დააკანონებინა და დააფინანსებინა კანონმდებლებს. დონალდ ტრამპი ფოსტით ხმის მიცემის სასტიკი წინააღმდეგია, რადგან მიაჩნია ამით გაყალბდება არჩევნები. ამერიკელი პოლიტოლოგები კი შიშით ელოდებიან მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც კარს არის მომდგარი.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი არეულობები ბელორუსში შედარებით მიწყნარდა. საპროტესტო გამოსვლებმა მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. თუმცა, პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში ჯერ კიდევ გაურკვეველია. ბელორუს ოპოზიციონერებს დასავლეთის, განსაკუთრებით ევროკავშირის იმედი ჰქონდათ. პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა სვეტლანა ტიხონოვსკაიამ რომელიც დღემდე ლიტვაშია. ისიც გაირკვა, წასვლაში ლუკაშენკოს სთხოვა დახმარება, საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა კიდეც არ ცნონ არჩევნების შედეგები. მოსახლეობას საყოველთაო გაფიცვებისკენ მოუწოდა, „... ყველა საწარმო გავაჩეროთ, ნუ შეგეშინდებათ უფულოდ დარჩენის, არ მიგვატოვებენ, დაგვეხმარებიან“. ვინ, ამაზე, არაფერი უთქვია. უცნაური ფაქტია — ოპოზიციის განცხადებით, მათ არანაირი სამომავლო სამოქმედო გეგმა არ გააჩნია, გარდა ხელისუფლებაში მოსვლისა. ხმებიც ხელახლა გადითვალეს და... მოქმედმა პრეზიდენტმა მათი გაანგაშირებით მიიღო არა 80%, არამედ 62%. ამით თავადვე დაამტკიცეს, არჩევნები არ გაყალბებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსი ევროკავშირის არაწევრი ქვეყანაა, სასწრაფო წესით მოიწვიეს სამიტი. ევროკავშირმა აღიარა ბელორუსში არჩევნები თავისუფალ გარემოში არ ჩატარებულა. მიღებულ კომუნიკეში განმეორებით არჩევნების ჩატარებაზე არაფერია ნათქვამი. აღსანიშნავია, რომ სამიტის მსვლელობისას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ტელეფონით ესაუბრნენ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადეს — ქვეყნის შინაურ საქმეებში გარედან ჩარევა დაუშვებლად მიაჩნიათ, პრობლემა ბელორუსის ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. ბელორუსში ვითარების სტაბილიზაციაში რუსეთის მონაწილეობას დონალდ ტრამპი აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

ოპოზიციის აქციების პარალელურად ბელორუსის დედაქალაქში და სხვა ქალაქებში ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები გაიმართება. ალექსანდრე ლუკაშენკომ გაამაგრა ქვეყნის დასავლეთის საზღვრები, არმია სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა. კვირას, მინსკში ოპოზიციის აქციას რეგიონებიდან შეუერთდნენ მომხრეები. გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტის სასახლის შტურმზე. ლუკაშენკომ ვერტმფრენიდან დაათვალიერა ქალაქი. იგი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დადიოდა სასახლის ეზოში, თუმცა საგანგაშო არაფერი იყო. ოპოზიციის აქცია მალევე დაიშალა.

გია ბურდული
551 71 27 07

ადამიანის უფლებათა ცვლილებებმა ადამიანი გადააგვარა

თავის მოკვლა გინდა? მოიკალი! ეს შენი სხეულია და უფლება გაქვს, როგორც გინდა ისე მოექცე მას...

სამართლის დოქტორმა, „ევროპული ცენტრის, სამართლისთვის და მართლმსაჯულებისთვის“ დირექტორმა გრეგორ პუპინკინმა, 2018 წელს საფრანგეთში ფრანგულად გამოსცა ნაშრომი „შეცვლილ-გადაგვარებული ადამიანის უფლებები“. ავტორის დასკვნით ადამიანის უფლებებმა გადააგვარეს ადამიანი. ადამიანმა დაკარგა წარმოდგენა ადამიანის ბუნებაზე. ადამიანის უფლებები მეოცე საუკუნეში გადაიქცა საყოველთაო, უნივერსალურ ფილოსოფიად და გამოხატავს ადამიანის გარკვეულ კონცეფციას, გარკვეულ შეხედულებას ადამიანზე. მოხდა ადამიანის კონცეფციის ტრანსფორმაცია ადამიანის უფლებათა ტრანსფორმაციის მეშვეობით.

გრეგორ პუპკინის ანალიზით, ადამიანის წარმოდგენამ ადამიანის ბუნებაზე, რომლის პატივისცემაც არის ადამიანის უფლებათა მიზეზი და საფუძველი, ბოლო ათწლეულებში განიცადა რევოლუციური ცვლილება. ადამიანის უფლებებს ხელახლა განსაზღვრავს დღევანდელი გადაგვარებული ადამიანი. ამის გამო ასე ხელახლა განსაზღვრული ადამიანის უფლებები ხელს უწყობენ, მეტიც, აძლიერებენ ადამიანის გადაგვარებას.

ადამიანის ბუნებაზე დაკვირვების შედეგად. უკვე ბერძენმა ფილოსოფოსებმა იცოდნენ რომ ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი, რომ ადამიანი არის სხეულის და სულის კავშირი. ადამიანი არის ცოცხალი, სოციალური და სულიერი არსება და ამიტომ ყველაფერი რაც პასუხობს ამ თვისებებს სიკეთეა და დაცული უნდა იყოს და ყველაფერი რაც მათ აბრკოლებს-სიკვდილი, ავადმყოფობა, მარტოობა, შეცდომა-ბოროტებაა და თავიდან მოშორებული უნდა იყოს. სწორედ ამიტომაა რომ ადამიანის უფლებები იცავენ ფიზიკურ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ოჯახის დაფუძნებით სიცოცხლის გადაცემის უნარს, კავშირის და გამოხატვის სოციალურ თავისუფლებებს, ისევე როგორც სულიერ თავისუფლებებს (აზრს, სვინდისს, რელიგიას). ადამიანის უფლებები ბუნებრივია იმით რომ ისინი გამოყვანილია ადამიანის ბუნებიდან.

რითი განსხვავდება 1789 წლის ადამიანის უფლებები 1948 წლის ადამიანის უფლებებისგან ?რა დროც არ უნდა ავიღოთ, ადამიანის. უფლებებს ერთის შეხედვით აქვთ საერთო ნიშნები, ადამიანის. უფლებები ეფუძნება ადამიანის. ინდივიდუალისტურ და ლიბერალურ კონცეფციას, ეს უფლებები იცავენ სუბიექტს ყველაფრისგან რაც უპირისპირდება მის ნებას. მიუხედვად ამისა, ადამიანის. უფლებების. კონცეფცია საგრძნობლად შეიცვალა დროთა მანძილზე. 1789 წლის დეკლარაცია აცხადებდა. ადამიანი-მოქალაქის, ბუნებრივი და. ზებუნებრივი კავშირების უარმყოფელი, და რესპუბლიკაში, საერთო საქმეში, პოლიტიკაში ჩართული ადამიანის უფლებებს. 1789 წლის. დეკლარაცია. ამას გარდა ადამიანის უფლებებს კეტავდა ეროვნული სამართალის საზღვრებში: ის ადამიანს როგორც მოქალაქეს აძლევდა ადამიანის როგორც ადამიანის უფლებების გარანტიას. ამ უფლებების განსაზღვრება და გარანტია განპირობებულია გარკვეული სახელმწიფოსადმი კუთვნილებით და ემორჩილება ამ სახელმწიფოს ძალაუფლებას. 1948 წლის დეკლარაცია კი ადამიანს უფრო რეალისტურად აღიქვამს. ადამიანი აღარაა ის რაც წარმოედგინათ განმანათლებელ ფილოსოფოსებს. ადამიანი არის პიროვნება რომელსაც ყავს ოჯახი, აქვს ხელობა, სამშობლო, რელიგია, ოჯახიც, სამშობლოც, რელიგიაც, ხელობაც ითვლება პოზიტიურ ფენომენებად რომლებიც არსებობდნენ სახელმწიფოს გაჩენამდე. 1948 წლის დეკლარაცია, მიზნად ისახავს ადამიანის დაცვას სახელმწიფოსგან და მისი პოზიტიური სამართლის შესაძლო ამორალურობისგან ის ცდილობს პიროვნებათა, უშუალოდ, ზეეროვნულად დაცვას, ამკვიდრებს ადამიანის უფლებათა უზენაესობას ეროვნულ სამართალთან შედარებით. ომის შემდგომი ხანის დიდი სიახლე ის იყო, რომ საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები დააყენეს იერარქიულად ეროვნულ სამართალზე უფრო მაღლა. აღიარეს. რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლებების ქონის უფლება მისი სახელმწიფოს გარეთაც. ადამიანი ავიდა ზეეროვნულ პოლიტიკურ დონეზე, რომელზეც ადამიანობა, უდრის მოქალაქეობას და ადამიანობასთან დაკავშირებული უფლებების აღიარებას, მაგრამ ადამიანის უფლებათა მორალის ასე შთანთქმით საერთაშორისო სამართალმა დაამკვიდრა პლანეტარული მოწოდების ზეეროვნული მორალური წესრიგი, მაგრამ ეხლა საფრთხე ისაა რომ სამართალმა, მართლმსაჯულებამ შეიძლება გადასინჯოს, ხელახლა განსაზღვროს, შეცვალოს ადამიანის უფლებათა მორალი, რაც ხდება კიდეც ეხლა, რისი მოწმენიც ვართ. მორალი დაიმორჩილა, დაიმონა სამართალმა, მორალს განსაზღვრავს სამართალი, მაგრამ უკვე ზეეროვნული და არა ეროვნული. ის რაც ადრე აკრძალული იყო ეხლა ვრცელდება ადამიანის ღირსების პატივისცემის სახელით, როგორც ადამიანის ახალი უფლებები. არადა ეხლა ვართ ნამდვილი ანტროპოლოგიური გადატრიალების მოწმე, საერთაშორისო ინსტანციებმა თანდათანობით მიიღეს ადამიანის ბუნების იმდენად ახალი კონცეფცია რომ ის რაც ადრე აკრძალული იყო ეხლა ვრცელდება ადამიანის ღირსების სახელით როგორც ადამიანის ახალი უფლებები და ამის, ამ ახალი უფლებების კრიტიკა აკრძალულია ეს რევოლუცია ასახავს ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში მომხდარ რევოლუციას. 1948 წლის ადამიანის უფლებები ასახავდნენ ბუნებრივ უფლებებს, ინდივიდუალიზმის გავრცელებამ კი გააჩინა ანტიბუნებრივი, ბუნების საწინააღმდეგო უფლებები, მაგალითად, ევტანაზიის თუ აბორტის უფლება რითაც ინდივიდი ამბობს რომ ის, მისი ნებაა. არის მისი სხეულის ბატონ-პატრონია. ეს ახალი ანტიბუნებრივი უფლებები გზას უხსნის, უახლეს ტრანსბუნებრივ უფლებებს რომლებიც ეხლა ინდივიდებს აძლევს ბუნების, ბუნებრივი მოცემულობის მათი ჟინის, შესაბამისად ბუნების გადაკეთების უფლებას. ავრცელებენ და ამკვიდრებენ ევგენიზმის, ბავშვის ყოლის თუ სქესის შეცვლის უფლებებს. ეს ახალი უფლებები ბუნების სრულ დამონებას ასაღებენ ადამიანის განთავისუფლებად და პროგრესად. საკუთარი სხეულის ფლობის და განკარგვის ეს ახალი უფლება თუ შესაძლებლობა არსებითია. ამით ამართლებენ ძველი ონტოლოგიური ღირსების საწინააღმდეგო ინდივიდუალურ პრაქტიკებს, მაგალითად სტერილიზაციას, სქესის შეცვლას, აბორტს თუ კიდევ თვითმკვლელობას. ადრე ითვლებოდა რომ არავის არა აქვს თუნდაც საკუთარი სხეულის წინააღმდეგ მოქმედების უფლება. გორბაჩოვისთვის ნობელის პრემიის მიცემის შემდეგ ლიტველები მასობრივად იკლავენ თავს, მაგრამ ცივილიზებული სამყაროს მმართველ ელიტებს ეს არ ადარდებს. „ლიტველებს აქვთ ამის უფლება“. ადამიანის ძველი კონცეფცია ჰარმონიულია, მაგრამ ეხლა გადავედით, დუალისტურ ხედვაზე. ძველი პრინციპი თვლიდა, რომ პატივი უნდა ვცეთ ადამიანს როგორც სხეულის და სულის ჰარმონიულ და ურღვევ კავშირს. საკუთარი სხეულის ფლობის და განკარგვის უფლება ასახავს ადამიანის ახალი პრინციპი არღვევს სხეული-სულის ჰარმონიას და ამტკიცებს რომ უფლებები აქვს ინდივიდს და ადამიანს შეუძლია რაც უნდა ის უქნას თავის სხეულს, რომ მას აქვს საკუთარი სხეულის წინააღმდეგ მოქმედების უფლებაც. ადამიანის ეს დუალისტური კონცეფცია, ადამიანის როგორც სხეულის და სულის ჰარმონიული კავშირის გაგლეჯა ყოვლის შემძლე და ყველანაირი უფლების მქონე ინდივიდად და სულ უუფლებო

ობიექტად ქცეულ სხეულად აცოცხლებს ძველ გნოსტიკურ იდეას რომლის თანახმადაც ადამიანი არის სატანას თუ იდიოტის მიერ შექმნილ საზიზღარ მატერიალურ სხეულში და სამყაროში დამწყვდეული ღვთაებრივი სული. ამას ადამიანური ღირსება დაჰყავს მხოლოდ ნებაზე და აქედანაა დღეს ინდივიდუალური ავტონომიის ბატონობა. მეტიც, დუალიზმი დაუკავშირდა ევოლუციონიზმს რათა დაგვარწმუნოს იმაში რომ ინდივიდი ადამიანდება და უფრო და უფრო ღირსეული ხდება იმდენად რამდენადაც თავისუფლდება უხეში მატერიისგან საიდანაც ისაა გამოსული, იმდენად რამდენადაც სული ბატონობს მატერიაზე. დღევანდელობის იდეოლოგები. გვარწმუნებენ იმაში რომ რომ ბავშვების ხელოვნურად შექმნა ლაბორატორიულ სინჯარებში და მისი ევგენიზმი უფრო ადამიანიანურია ვიდრე მამაკაცის და ქალის მიერ ბავშვის ჩვეულებრივად, ბუნებრივად გაჩენა. ისინი გვიმტკიცებენ რომ ბიოლოგიურ მამობად და ბიოლოგიურ დედობად წოდებულ ბუნებრივ ფენომენზე უფრო ადამიანურია გენეტიკური მანიპულატორთა მიერ ადამიანთა ხელოვნურად შექმნა...ასე, რომ „მავანნი“ადამიანის უფლებების სახელით, უამრავ დანაშაულს სჩადიან!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ამერიკის პოლიტიკური დინასტიები და თანამედროვე სამყარო

აშშ-ს 200 ოჯახი მართავს, ანუ დიდება ნეპოტიზმს!

საუბრები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში ოჯახებისა და დინასტიების შესახებ ჟამიჟამ აქტიურდება ხოლმე. ამერიკის ხელისუფლებაში ბევრი დინასტია იყო: ტაფტის, ბეის, პრეიერის, გაფის, ჩეინის, გორის, მურკოვსკის, პაუელის, დოულის, ფორდის...

და ვინ მართავს ქვეყანას სინამდვილეში?

ცნობილი სოციოლოგის ჩარლზ მილზის აზრით, აშშ-ს დაახლოებით 200 ოჯახი მართავს, რომლებიც, ბუნებრივია, ქმნიან „დემოკრატიისთვის აუცილებელ არისტოკრატიას“. ეს მოვლენა გამოიკვლია ადამ ბელოუმ წიგნში „ნეპოტიზმის სადიდებელი“, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია. წიგნში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს. შესაძლოა, ფაქტები მოსაწყენია, მაგრამ ბევრი რამ გასაგები ხდება.

ამერიკის შეერთებული შტატის მეექვსე პრეზიდენტი ჯონ კვინს ადამსი ქვეყნის მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის ვაჟი იყო.

ფრანკლინ დელანო რუზველტის ვაჟი ნიუ-იორკის შტატის კონგრესმენი იყო.

სენატორი იყო ჯოზეფ კენედი, კენედების ცნობილი პოლიტიკური კლანის მმართველი, რომელმაც ქვეყანას დიდ პოლიტიკაში წარმატებით შესული ჯონი, რობერტი და ედვარდი გაუზარდა.

ფრანკლინ დელანო რუზველტის ვაჟი ნიუ-იორკის შტატის კონგრესმენი იყო.

კონექტიკუტის შტატის სენატორი 1952–1963 წლებში იყო ამერიკის 41-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მამა და 43-ე პრეზიდენტის — ჯორჯ ბუში-უმცროსის ბაბუა, პრესკოტ ბუში.

ოჰაიოს შტატის ყოფილი გუბერნატორი ბობ ტაფტი პრეზიდენტ უილიამ ტაფტის შვილთაშვილი იყო.

სენატორები: ევან ბეი, მარკ პრაიერი და ლინკოლნ გაფი, შესაბამისად, სენატორების: ბერგ ბეის, დევიდ პრაიერისა და ჯონ გაფის ვაჟები არიან.

ყოფილი ვიცე-რეზიდენტის ელ გორის მამა — გორი-უფროსი 17 წლის განმავლობაში სენატორი იყო.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელი სენატორი ალიასკის შტატიდან ფრენს მურკოვსკი გუბერნატორად აირჩიეს, სენატორის სკამი მისმა ქალიშვილმა ლინდამ დაიკავა.

2002 წელს, ელიზაბეტ ჩეინი, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ქალიშვილი სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელის თანაშემწის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო ელიზაბეტის მეუღლე ფილიპი კი ბიუჯეტის მართვის ოფისში მთავარი ადვოკატი გახდა.

თავის მხრივ, გენერალ პაუელის ვაჟი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის თავმჯდომარე გახდა.

სამხრეთ კაროლინის შტატის გენერალურ პროკურორად დაინიშნა 100 წლის ასაკში თავის პოსტზე გარდაცვლილი სენატორის, სტრომ ტერმონდის 28 წლის ვაჟი.

ნიუ-ჰემფშირის შტატში სენატში არჩეული იქნა ჯონ სუნუნუ, ექს-გუბერნატორის ვაჟი.

სენატორი გახდა ელიზაბეტ დოული, ყოფილი სენატორის რობერტ დოულის ცოლი.

წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერი იყო ნენსი პელოზი, ცნობილი კონგრესმენის ქალიშვილი. მისი მოწინააღმდეგე არჩევნებში კონგრესმენი ჰაროლდ ფორდ-უმცროსი იყო, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მამის ადგილი.

ნიუჯერსელი ფრელინჰაუზენების ოჯახში კონგრესმენი რომნი უკვე მეექვსე თაობაა ამ ცნობილი კლანისა, რომელთაგან უმრავლესობა ამ შტატის გუბერნატორი იყო.

ზოგიერთ ოჯახს ერთ შტატში ადგილი არ ჰყოფნის. მე-19 საუკუნეში უოშბერნის ოჯახის ოთხი წევრი კონგრესში იყო არჩეული ოთხი სხვადასხვა შტატიდან.

კენედების კლანმა მასაჩუსეტიდან დაიწყო, მერე კი მის საზღვრებს გასცდა. სენატორ ტედ კენედის ვაჟი პატრიკი წარმომადგენელთა პალატაში როდაილენდის წარმომადგენელი იყო, კეტლინ კენედი მერილენდის გუბერნატორის პოსტის დასაკავებლად იბრძოდა, ბობი კენედი კი ნიუ-იორკის შტატიდან აირჩიეს — აქაც ოთხ შტატს ერთი ოჯახი წარმოადგენდა.

ძმებმა ერნესტო და პედრო დალ ბომ და მათმა თანაავტორმა ჯეისონ სნაიდერმა ერთობლივ ნაშრომში „პოლიტიკური დინასტიები“, რომელიც 2009 წელს ჟურნალ **Review of Economic Studies**-ში გამოქვეყნდა, შეისწავლეს პრაქტიკულად კონგრესის ყველა წევრის ბიოგრაფიული მონაცემები 1789 წლიდან 1996 წლის ჩათვლით (სულ 11463 ადამიანი). თითოეულ მათგანზე მოპოვებულ ცნობები შეეხებოდა არა მხოლოდ მათ ნათესაურ კავშირებს (მშობლები, სხვა ნათესავები, ბაბუები, წინაპრები და ა. შ.), არამედ დეტალური ინდივიდუალურ დახასიათებებს (განათლება, სამხედრო ნამსახურება, პროფესია და ა. შ.).

ამ პოლიტიკოსების დაახლოებით 8,7%-ს ჰყავდა ნათესავები წინა კონგრესების შემადგენლობაში. კონგრესმენების 8,6%-ს კი ჰყავდა ნათესავები მომავალ კონგრესებში. აღმოჩნდა, რომ კენედის ოჯახი სულაც არ ყოფილა ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი.

პოლიტიკურ დინასტიებს შორის ყველაზე დიდი იყო ბრეკენრიჯების კლანი (17 ადამიანი, რომლებიც კონგრესში 72-ჯერ იყვნენ არჩეული 1789–1978 წლებში) და ჰეილის ოჯახი (შვიდი ადამიანი, რომლებიც 65-ჯერ იყო არჩეული 1805–1958 წლებში).

კენედის ოჯახის ექვსი წევრი წარმოდგენილი იყო 37 კონგრესში 1895 წლიდან დღემდე (დინასტიებს შორის მე-15 ადგილი). ამასთან, დინასტიის წარმომადგენელ პოლიტიკოსთა რაოდენობა (ისინი, ვისაც ნათესავები ჰყავდა წინა კონგრესების შემადგენლობაში) დროთა განმავლობაში მცირდებოდა 1789–1859 წლები (11%) და 7% 1966-იანი წლების შემდეგ.

დინასტიის წარმომადგენელი პოლიტიკოსების წილი თავისთავად საინტერესო ციფრია, მაგრამ უფრო საინტერესოა, დღეს პოლიტიკურ ოფისში მუშაობა ქმნის თუ არა მომავალში იმის ალბათობას, რომ ამ ადამიანის ნათესავი აქ მოხვდება? მათ შორის, ვინც მხოლოდ ერთი ვადით იყო არჩეული, მოგვიანებით 6.9% მათი ოჯახის სხვა წევრებიც პოლიტიკაში მოვიდნენ, მათ შორის კი, ვინც ერთ ვადაზე მეტს ხანს იყო არჩეული, ეს ციფრი უკვე 9,5%-ს შეადგენს.

გამოკვლევის ავტორებს უფრო მეტი ციფრი და შედარებითი დახასიათებები მოჰყავთ. ისინი ასკვნიან, რომ ძალაუფლებას თავად ძალაუფლება ქმნის და არა ნიჭი. ამიტომ, რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება პოლიტიკური კარიერა, მით უფრო მეტია შანსი, რომ პოლიტიკოსის ნათესავი ამ სფეროში აღმოჩნდება და ეს განსაკუთრებით იმ შტატებისთვისაა ნიშანდობლივი, სადაც ხელისუფლებაში მოსვლისთვის დაბალი კონკურენციაა.

როგორც ძმები დალ ბო წერდნენ, ეს შესაძლოა, იმით აიხსნას, რომ, როცა ერთი პარტია მთლიანად აკონტროლებს შტატს, იმ ადამიანებს, ვინც პარტიას აკონტროლებს, ურჩევნიათ საკვანძო პოსტებზე თავიანთი ნათესავები იხილონ.

ამგვარად, ხელისუფლების დინასტიურად გადაცემა მშვენივრად არსებობს გარეგნულად დემოკრატიული არჩევნებისა და მმართველობის პირობებშიც. ალბათ, არაფერია იმაში ცუდი, რომ გავლენიანი ოჯახების წევრებს სურთ, ქვეყანას ემსახურონ. მაგრამ, ამგვარი სიტუაცია ამერიკის შეერთებულ შტატებს სწორედ ქვეყნის იმ 200 ოჯახის ინტერესებისა და მათი ხედვების მძევლად აქცევს, ვინც მას მართავს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22



„ვეფხისტყაოსანს“ მიბარებული მეგრული ენა

დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად გადმოთარგმნის სამი მცდელობა იყო. პირველად იგი სადადიანოს კოლორიტულმა პიროვნებამ, კაკა ჟვანიამ თარგმნა შოთა რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით 1965 წელს; მოგვიანებით — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა, ბატონმა გედეონ შანავამ და მესამედ — გასული საუკუნის 90-იან წლებში ეპისკოპოსმა ბენედიქტემ.

თუმცა, მიუხედავად სამი მცდელობისა, ამ თარგმანებში მაინც ვერაფრით მოხერხდა ავტორის პოეტური სიდიადის ადეკვატური გადმოცემა.

სულ სხვა სურათია „ვეფხისტყაოსნის“ წინამდებარე თარგმანში, რომელზეც მარტვილელ მასწავლებელს, ფილოლოგ აბელ ფეტელავას 20 წელიწადზე მეტი უმუშავია. გასაოცარია მისი მთარგმნელობითი ხელოვნება, ორიგინალის სიღრმეების წვდომა, კვალიფიციური ცოდნა თავად მეგრული ენისა, შესაშური ნიჭიერება, სილაღე და სითამამე, რომელიც არ გადაგაქცევს დედნის ყურმოჭრილ მონად და ანკარა პოეტური სიტყვის თვალშეუდგამ უკიდეგანობას გაზიარებს.

აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ვეფხისტყაოსნის“ აბელ ფეტელავასეული თრგმანი ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მაღალმხატვრულია არათუ მეგრულ, არამედ აქამდე არსებულ ნებისმიერ თარგმანთან შედარებით“.

ზოგჯერ ისმის საყვედურნარევი კითხვა: რა საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნა? განა მეგრელი კაცისთვის „ვეფხისტყაოსანი“ ისეთივე მშობლიური არ არის, როგორც ყველა ქართველისთვის?

რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ თუ შევთანხმდებით, რომ მეგრული ენა, რომელსაც აკაკი წერეთელი ნამდვილი ქართული სიტყვების საღაროს უწოდებს, ზოგადეროვნული მნიშვნელობის კულტურული ძეგლია, ცხადია, მას მოვლა, დაცვა და, რაც მთავარია, შენახვა სჭირდება, „ვეფხისტყაოსანი“ კი ამ მხრივ ყველაზე საიმედო განძთსაცავია — „ვეფხისტყაოსანს“ მიბარებული მეგრული ენაც ისევე მარად იცოცხლებს, როგორც თავად ეს უკვდავი პოემა და საქართველო“.

დაბოლოს, „ვეფხისტყაოსნის“ ამ გასაოცარ მეგრულ თარგმანზე მუშაობისას გაწეული ფასდაუდებელი ამაგისთვის, მოწიწებით პატივს მივაგებთ ქართველური ენების დიდი სპეციალისტის, აწ განსვენებულ, აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის ნათელ ხსოვნას.

განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებთ წიგნის სპონსორს, ორგზის პარლამეტარს, ქველმოქმედებით გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ დავით ინჯიას.

საგამომცემლო ჯგუფი.



ქართული კულტურის შენაძენი

„ვეფხისტყაოსნის“ აბელ ფეტელავასეული თარგმანის წაკითხვისას ფრიად გამაოცა ამ პიროვნების თვითნაბადმა ერუდიციამ, მეგრული ენის ღრმა ცოდნამ და პოეტურმა აღმაფრენამ, რომელც არ არის დოგმატიკური, თამამია, თუმცა ყველგან და ყოველთვის კვალში მისდევს დედანს. მე მქონდა ბედნიერება თვალი მიმედევნებინა აბელ ფეტელავას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის რედაქტორული სამუშაოებისთვისაც. თარგმანს დიდად გაუმართლა, რადგან იღბლად არგუნა პროფესიონალი რედაქტორების ხელი. ნეტარხსენებული აკადემიკოსი **აპოლონ სილაგაძე** და თვითმყოფადი მწერალი, საპატიო დოქტორი **გური ოტობაია** ამ აუცილებელი წარმატების ქვაკუთხედად მოგვევლინნენ. იყო უამრავი შემთხვევა, როცა ა. ფეტელავას წლების წინათ მომზადებულ თარგმანს სერიოზული ჩარევები სჭირდებოდა. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა ენობრივ პოზიციას, სადაც მთარგმნელი ირჩევდა მარტვილურ კილოს. რედაქტორებმა კი ეს კილო სრულიად სამართლიანად კლასიკურ მეგრულს დაუქვემდებარეს. ასე, მგალითად, მრავალი ძიების შემდეგ რედაქტორებმა არჩევანი შეაჩერეს ფონემაზე — „აპაპარათუნი“, რაც მეგრულში შეესატყვისება იმისთანა ბორჯალს, როცა ზღვა და ხმელეთი ერთმანეთშია ალინთული; როდესაც ყინული და პაპანაქება ერთ ჭურჭელში თუხთუხებს.

ნამქუთ დარსხუ ოდაბადე ნძალით— აპაპარათუნი,
თიში სამონძურო შურით ჟიდე მუნანბარათუნი,
ჩქი, კათასუ, მუჩეს რინა ანდა ცდვაში ჭარათუნი,
თინაშე რე ირი ხენცფე, სახე-ნასაქვარანთუნი.

დაბოლოს, უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა წინამდებარე პროექტის ხელმძღვანელს, — პოეტ ვახტანგ ხარჩილავას, წიგნის ჯერჯერობით მოკრძალებული ტირაჟით დამფინანსებელს, ორგზის პარლამენტარს, ბატონ დავით ინჯიას, თითოეულს, ვინც კი ასეთი მაღალესტეტიკური და მაღალპოლიგრაფიული ხელწერით ახლებური სიცოცხლით შემოსეს რუსთაველის ისედაც იგავმიუწვდომელი გენია.

იგორ კვესელავა
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, თბილისის ტექნიკური
უნივერსიტეტის პოლიტიკისა და
საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

წიგნის შეძენის მსურველებს, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 58-72-50 (ბესო)

მადლობა ექიმებს

გიორგი ხუციშვილი **ამბროსი თადუმაძე**

იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ქართველ ექიმებს არ ენდობა, მკურნალობას საზღვარგარეთ ამჯობინებს და ჰგონია, რომ ჩვენი ექიმები შესაბამისად კვალიფიცირებულები არ არიან, უნდა ვთქვათ, რომ, თუ ადამიანს პასუხისმგებლობა და საკუთარი საქმის სიყვარული აქვს, სადაც უნდა მოღვაწეობდეს, ყველგან შეუძლია განკურნოს ავადმყოფი, შვება მოჰგვაროს და სიცოცხლე გაუხანგრძლივოს.

ყველამ ვიცით, პაციენტისთვის, პროფესიონალიზმთან ერთად, წამალზე მეტად მარგებელი ხშირად ტკბილი სიტყვა და ყურადღებიანი მოპყრობაა.

ქუთაისში არსებული დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის მედიკოსები პროფესიონალიზმთან ერთად სწორედ გულისხმიერებით გამოირჩევიან.

უდიდესი ყურადღება პაციენტისადმი, დაავადების ზედმიწევნით შესწავლა და განკურნებისთვის ოპტიმალური გზების პოვნა მათი პრიორიტეტია.

რამდენიმე დღის წინ დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი ევროპის ინსულტის ორგანიზაციისგან ოქროს ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა.

წინ კიდევ დიდი წარმატებებია, რადგან ეს სამედიცინო ცენტრი თავისი ხელმძღვანელობით და მთელი პერსონალით, ნამდვილად იმსახურებს კიდევ უამრავ ჯილდოს და აღიარებას.

თუმცა დამეთანხმებით, ექიმისთვის ყველაზე დიდი სიგელი და დაფასება მადლიერი და გამოჯანმრთელებული პაციენტია, რომელთა რიცხვი, თამამად შეიძლება ითქვას, ამ კლინიკის ექიმების შემთხვევაში, უამრავია.

მადლიერ პაციენტთა შორის ვარ მეც, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვწირავ კლინიკურ დირექტორს, ორთოპედიული მიმართულების ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ხუციშვილს, უმცროს ექიმს, ორთოპედ-ტრავმატოლოგს, ბატონ ამბროსი თადუმაძეს, მედდებს, მთელ კოლექტივს. წარმატებებს და დღეგრძელობას ვუსურვებ მათ.

როზა ცენტერაძე,
პედაგოგი.

წყალტუბოში დევნილებს საცხოვრებელი სახლები გადაეცემათ

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო წყალტუბოში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინას 140 დევნილ ოჯახს გადასცემს. მონიტორინგის ჯგუფებმა დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობები და საჭიროებები ადგილზე შეისწავლეს.

მათი ინფორმაციით, მოკვლეული მასალა განსახილველად დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას გადაეცა.

„დევნილი ოჯახების სია, რომლებსაც კომისიის გადაწყვეტილებით, წყალტუბოში საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დევნილთა სააგენტოსვ ქვეყნდება.

სააგენტოს დირექტორი და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები ინდივიდუალურად შეხვდებიან ყველა იმ დევნილს, რომელსაც ბინების განაწილების პროცესთან დაკავშირებით შეკითხვები გააჩნია. იძულებით გადაადგილებული პირების მიღება ქუთაისში, (ი. აბაშიძის გამზ. N27) სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოში, 26 აგვისტოს გაიმართება.

წყალტუბოში, დევნილებისთვის კიდევ 6 კორპუსი შენდება, სადაც ბინას, დამატებით, 420 ოჯახს გადავცემთ“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„წერილების ფესტივალი“ – 2020

სამეგრელო

2020 წლის 14-15 აგვისტოს საქართველოს კულტურის სამინისტროს, მწერალთა კავშირის, აფხაზეთის მთავრობის, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმიანისტრაციის ხელშეწყობით და ორგანიზებით, მწერალთა 60-კაციანი ჯგუფი სამეგრელოს ეწვია და რეგიონში ორი დღე დაჰყო.

ამ ორი დღის განმავლობაში უამრავი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა — „აფხაზეთის ბილიკების“ გაშენება ემიგრანტთა ბაღში, ქართველი მწერლების სახელზე ნერგების დარგვა და სხვადასხვა სახის შეხვედრები. დიასპორების ალიანსმა „საქართველოსთვის“ „ოქროს საწმისი” გადასცა ღვაწლმოსილ მწერლებს: ბელა შალვაშვილს და რეზო მიშველაძეს. იმავე ორგანიზაციის დირექტორი, ქალბატონი თიკა სვანიძე, რომელიც დირექტორი და დამფუძნებელია ნიდერლანდებში ქართული კულტურის ცენტრის, მეუღლესთან, სამ შვილთან და მშობლებთან ერთად ჩამობრძანდა ამსტერდამიდან, გაიარა 14-დღიანი კარანტინი და ოფისის თანამშრომლებთან ერთად დიდი ძალისხმევა ჩადო ფესტივალის ჩატარებაში. პირველი დღის ძირითადი ლოკაცია ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა გახლდათ. მთელმა ქალაქმა ზუგდიდისთვის დამახასიათებელი საოცარი სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა სტუმრებს. ემიგრანტთა ბაღის „ფესვების“ მეგობრებმა, და ბატონებმა ირაკლი ჩიქოვანმა და გიორგი შენგელიამ სტუმრებს საუცხოო გარემო შეუქმნეს. საქართველოს მწერალთა კავშირმა ქართული კულტურის ქომაგის სიგელით დააჯილდოვა: გიორგი (გეგა) შენგელია, ირაკლი ჩიქოვანი, ნინო გოგინავა, თიკა სვანიძე-ვენკო, რობი ვენკო, დათო სალაძე, ცისანა ანთაძე, ნიკოლოზ ქარჩავა, ეკატერინე გაბრავა, მამუკა მესხიშვილი, ხოლო ლია ნაროუშვილს დადაეცა “თამარ დედოფლის ენდალმა”, ასევე, განსაკუთრებული ღვაწლისთვის — ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის.

14 აგვისტო აფხაზეთში 13-თვიანი ომის დაწყების თარიღია. ქალბატონმა ლეილა ბაღბაიამ საოცარი საგამოფენო კუთხე მოაწყო ბილიკების შუაში, ფესტივალიც სწორედ ამ დღეს გაიმართა, უამრავი წერილი დაუწერეს აფხაზეთს, ბავშვობას, სკოლას, ემიგრანტთა ბაღს...

“წერილების ფესტივალის” მნიშვნელობაზე მწერალმა ლაშა გვასალიამ ისაუბრა. ხოლო სტუმართა სახელით, რეზო მიშველაძემ განსაკუთრებულად მიმართა ზუგდიდის მაჟორიტარ კანდიდატს ირაკლი ჩიქოვანს, აწ უკვე “ოქროს საწმისის” მფლობელმა რეზო მიშველაძემ თანადგომა ყველას სახელით აღუთქვა ბატონ ირაკლის და გამარჯვება უსურვა მომავალ არჩევნებში.

დასასრულს ფესტივალის წამყვანმა გოდერძი შარაშიამ საზოგადოებას გააცნო მომავალი გეგმები: 2021 წელს ემიგრანტთა ბაღში ჩატარდება ფესტივალი — ქართველი მხატვრები და ოცდამეერთე საუკუნე — “ფერთა დღესასწაული”.

უახლოეს ხანებში ემიგრანტთა ბაღში გაიხსნება ბიბლიოთეკა და დარბაზი სალონური შეხვედრებისთვის.

®

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯე“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge